# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 199 (5800)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


ხმა ერის გასაგონად

## „დამამხობლის მეთაური მომავალში დასამხობ მთავრობას შექმნის!“

კომპეტენტური აზრი



ოპოზიციური პარტიების მთავარი ამოცანა ეროვნული იდეის ამოქმედება უნდა იყოს, რათა ხელისუფლებამ ერი და პიროვნება თანაბრად დაიცვას. „ქართული აკადემია“ ცდილობს გამოხატოს ის, რაც ცალკეულ პარტიებში ფარულად და არაცნობიერადაა წარმოდგენილი

4

## წინ წნორისკენ, აფხაზეთის დასაბრუნებლად!

2



სულიერი მეგობრობა





## რუსეთის პატრიარქი ილია II-ს საქართველოს სინდისს უწოდებს

რუსეთის პატრიარქი ალექსი II საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებსა და ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებისთვის მადლობას უხდის.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს აღსაყდრების 30 წლისთავთან დაკავშირებით მილოცვის წერილი გამოუგზავნა.

„ჩვენთვის ბედნიერებაა, რომ წლებთან ერთად თქვენ არ განელდათ რუსული ეკლესიისადმი სიყვარული და მოსკოვის სასულიერო სემინარიიდან გაყოლილ სითბოს გულით ატარებთ“, – ნათქვამია წერილში.

ალექსი II აღნიშნავს, რომ სწორედ ეს გულითადი სიყვარული აკავშირებს საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების მეგობრობას, რომელიც ყველაზე რთულ დროსაც კი ჩვენი ერების ურყევი კავშირის გარანტია იყო.

როგორც რუსეთის პატრიარქი აღნიშნავს, ბოლო წლები საქართველოსთვის არ იყო იოლი, თუმცა – „თქვენი უწმინდესობის გონიერებისა და სიბრძნის წყალობით, ყველა დაბრკოლების გადალახვა მოხერხდა“.

რუსეთის პატრიარქის განცხადებით, უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს სინდისია, რომელსაც ღმერთმა ერის წინამძღოლობა ქვეყნისთვის ერთერთ ყველაზე რთულ დროს დააკისრა.

თავის წერილში ალექსი II-მ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მცხეთის ჯვრის მონასტრის 1400 წლისთავიც მიულოცა და ცნობილ მონასტერს „ქართული სულიერების ნამდვილი მარგალიტი უწოდა“.

ინტერპრესნიუსი



## აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

14

ოლიმპიადისთვის მზადებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იყენებენ

## ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

5

## ჩაც არ მაქვს, ჩას წამართმევს...

3

● როცა საქართველოში აქამდე უცნობი მარკოზაშვილი ერთხელ და სამუდამოდ ჩააქოლინა ხალხს, პრეზიდენტმა სოხუმსა და ცხინვალში დაბრუნების ახალი, ერეკლური კახეთის მიმართულება გაგვაცნო საგარეჯო-გურჯაანი-თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი-სიღნაღი-დედოფლისწყაროს მარშრუტით



№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

◎ ალტერნატივა

# წინ წნორისკენ, აფხაზეთის დასაბრუნებლად!

## ნაქირალა მარკოზაშვილის გზა სოხუმში ვერ ჩაგვიყვანს

**გუშინწინ თელავში, ერეკლეს ძეგლთან, ხალხმრავალი თავყრილობა გაიმართა, რომელმაც ერისთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას მისცა ხმა: საზეიმოდ ხელახლა ეკურთხა ერეკლე მეორის ისტორიული გზა.**

როგორც გვახსოვს, პატარა კახის გზა-პროგრამის პირველი პრეზენტაცია XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში მოხდა, როცა „დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის გადაიწყვიტა, გულმან ირაკლის... რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“.

მეორე პრეზენტაცია, როგორც ვთქვით, გუშინწინ შედგა თელავში, როცა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მგზნებარე-ჰეროიკულ შეძახილზე, ხალხო, აირჩიე — ერეკლე მეორის ან ნაქირალა მარკოზაშვილის გზაო, ხალხმა ერეკლეს გზა აირჩია, თუმცა კაცმა რომ თქვას, ვერ გაერკვა, ამ შემთხვევაში რა იყო „ერეკლეს გზის“ არსი, თანაც კითხვის ფორმულირებაში — „ერეკლე თუ ნაქირალა მარკოზაშვილიო“, თავისთავად ივარაუდებოდა პასუხი. მით უფრო, ნაქირალა მარკოზაშვილი, დარწმუნებული ვარ, აქამდე საერთოდ არ სმენოდა, მისი რაღაც განსაკუთრებული გზის არსებობა — მით უფრო.

საერთოდ, ასე საჯაროდ და კატეგორიულად ორიდან ერთის არჩევა მეორედ დაევალა საზოგადოებრიობას.

პირველად XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, თბილისში, „ქარიშხალას“ სტადიონზე ზვიად გამსახურდიამ შესთავაზა ხალხს, აირჩიე ქრისტეს ან ბარაბას გზაო.

ხალხმა, ბუნებრივია, ქრისტეს გზა აირჩია, რადგან კარგად იცოდა, ვინც იყო ბარაბა და რატომ არ ეგებოდა მისი გზით სიარული.

ახლა — ერეკლე ან ნაქირალა მარკოზაშვილიო.

ხალხმა ერეკლეს გზა აირჩია, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ ეშმაკი იყო ეს მარკოზაშვილი და რა ისეთი ნაქირალა ალტერნატივით გამოირჩეოდა.

ერთიც: როგორც ვთქვი, სავარაუდოა, რომ შეკრებილთ არც „ერეკლეს გზა“ ჰქონდა გასიგრძეგანებულ სხვაგვარად, თუ არ რუსეთის მფარველობის ძიება გამუდმებულ ბრძოლასა და ჭირთათმენაში დაღლილი კაცის მიერ. არ, ვიცი, ამაზე მიგვანიშნა პრეზიდენტმა?

საერთოდ, გამეორება ცოდნის დედაა, მაგრამ ასეთი გამეორებები იუმორით აღიქმება ხოლმე. რამდენადაც სწორად და დროულად იყო მაშინ შემოთავაზებული ქრისტეს გზა, იმდენად გაუგებარია დღეს საითკენ მიგვერეკება ამ ბუნდოვანებით ბატონი პრეზიდენტი.

მაგრამ ეს იქით იყოს.

საერთოდ, ჩვენმა პრეზიდენტმა საქართველოს ისტორია ცუდად იცის. ეს მის სამიტინგო განცხადებებში დროდადრო უხვად ხმიანდება ხოლმე.



ადრინდელზე არაფერს ვიტყვი. მარკოზაშვილი ავილოთ.

რა ვიცით ჩვენ ამ „ნაქირალა“ კაცზე?

თითქმის არაფერი.

ვიცით მხოლოდ „მარკოზაშვილის დარბაზი“.

1765 წელს თბილისში გამჟღავნდა შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ. შეთქმულების სათავეში ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟი პაატა ბატონიშვილი იდგა, მან განათლება რუსეთში მიიღო, 1752 წელს თბილისში ჩამოვიდა, სადაც ერეკლემ პატივით მიიღო და საარტილერიო წარმოების მოწყობა დაავალა. შეთქმულნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ კახელი ერეკლეს ქართლში გამეფებით, ქართლის სამეფო ტახტის კანონიერ მფლობელად ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს მიიჩნევდნენ, არსებითად კი არ მოსწონდათ სამეფო ხელისუფლების გაძლიერება, ერეკლე II-ის ცენტრალისტური პოლიტიკა.

შეთქმულნი ვინმე მარკოზაშვილის ბინაში იკრიბებოდნენ, სადაც მათი მოთავე პაატა ბატონიშვილი ცხოვრობდა. ამის გამო ამ ბინას ისტორიაში „მარკოზაშვილის დარბაზი“, ხოლო შეთქმულთ „მარკოზაშვილის დარბაზელნი“ ეწოდათ.

შეთქმულება გამჟღავნდა, მეთაურები პაატა და დავით აბდულა-ბეგის ძე ბატონიშვილები სიკვდილით დასაჯეს. სახლთუხუცეს დემეტრე ამილახვარს თავზე ნაცარი წააყარეს, ვირზე შესვეს და ქალაქი შემოატარეს...

ამის მეტი მარკოზაშვილზე არაფერი ვიცით.

ახლა კი ირკვევა, რომ ამ კაცს რაღაც თავისი, „ერეკლეს გზის“ საპირისპირო გზა ჰქონია, კერძოდ: როცა თურმე „ერეკლე აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ სოფელ-სოფელ დადიოდა და ხალხს აგროვებდა, ნაქირალა მარკოზაშვილი ხალხს აქეზებდა, ერეკლე არ ვარგა, მეფე არ ვარგაო“...

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ სად ერეკლე და სად...

როცა საქართველოში აქამდე უცნობი მარკოზაშვილი ერთხელ და სამუდამოდ ჩააქოლინა ხალხს, პრეზიდენტმა სოხუმსა და ცხინვალში დაბრუნების ახალი, ერეკლური კახეთის მიმართულება გაგვაცნო საგარეჯო-გურჯაანი-თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი-სიღნაღი-დედოფლისწყაროს მარშრუტით.

ააშენა ღმერთმა, ძლივს გამოჩნდა შუქი გვირაბის ბოლოს!

აი, როგორ შებრუნდება აღმოსავლეთზე ორიენტირებული ეს გზა დასავლეთისკენ, უშუალოდ აფხაზეთზე დასამიზნებლად, ჯერჯერობით სამარჩიელოა.

იმედია, პრეზიდენტის იმდღევანდელი უსაშველოდ (სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია) და უსაფუძვლოდ ემოციური გამოსვლა, ახალი ეტაპი გახდება როგორც ტერიტორიული მთლიანობისა და რუსეთთან კეთილმეზობლობის აღდგენის, ისე ოპოზიციის შემომტკიცების გზაზე.

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ ინფორმაცია

### ირაკლი ალასანია: ახალი რეზოლუცია დაბალანსებულია

**აფხაზეთის კონფლიქტის თემაზე გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია დაბალანსებულია და მასში ქართული მხარის მიერ დასმული ყველა საკითხი, მათ შორის დევნილთა დაბრუნების უფლება, ასახულია.**

ამის შესახებ გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ალასანიას ინფორმაციით, უშიშროების საბჭოს წევრთა უმეტესობა მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას, განიხილონ სამშვიდობოთა საქმიანობა და მთლიანად სამშვიდობო პროცესი.

ალასანიას ვარაუდით, საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის საქმიანობის შეფასების რეზოლუცია აპრილამდე იქნება მიღებული.

გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის კონფლიქტის თემაზე რეზოლუცია გუშინ მიიღო, რომელშიც დევნილთა ქონებრივი და დაბრუნების უფლებები დააკონკრეტეს.

### რეზოლუცია რუსული მხარის მიდგომასაც უპასუხებს

**გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციისა და სამშვიდობო პროცესის წინსვლის საკითხებზე რუსული მხარის მიდგომას უპასუხებს.**

ასეთი შეფასება გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა გააკეთა.

გაეროს ოფიციალური ვებ გვერდის ცნობით, ჩურკინი მიიჩნევს, რომ ახალი რეზოლუცია კარგია და რუსული დელეგაცია დოკუმენტის ტექსტზე გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მუშაობდა.

— ჩვენ რეზოლუციის ტექსტით კმაყოფილნი ვართ, — განაცხადა რუსეთის წარმომადგენელმა.

### სოხუმიც კმაყოფილია

**აფხაზეთის კონფლიქტის თემაზე გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციით სოხუმიც კმაყოფილია. ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა.**

— რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ძალთა დაშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების შესრულება აუცილებელია. საბჭო, ასევე, მიიჩნევს, რომ მხარეებმა დაძაბულობის ესკალაციისგან თავი უნდა შეიკავონ, რაც აფხაზურმა მხარემ არაერთხელ მოითხოვა, — აღნიშნა შამბამ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ SIC!

# მართალი რად თქვით და რად დაწერეთო?!

## კახეთში მედიას მუდმივად ავიწროვებენ

**უფლებადამცველი ორგანიზაციები დაუფარავად საუბრობენ, რომ შინაგან საქმეთა კახეთის სამხარეო სამმართველო ტელეკომპანია „იმედის“ კახეთის ბიუროს ხელმძღვანელის, ჟურნალისტ ჟანა დიდებაშვილის დაპატიმრების მიზნით მისი საწინააღმდეგო ჩვენებების მოსაპოვებლად მუშაობს. „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ დასძენს, რომ კახეთში მცხოვრებ გლეხს ავთო ყალაბეგაშვილს, რომელმაც მსხმოიარე ვენახი ნაჯახით აჩეხა, სამხარეო პოლიცია აშინებს და აიძულებს, დიდებაშვილის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს, თითქოს ჟურნალისტმა მას გაჩეხვის სანაცვლოდ 1 500 ლარი გადაუხადა.**

შეგახსენებთ, ჟურნალისტ **ჟანა დიდებაშვილის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ამას წინათ, გურჯაანელმა სამართალდამცველებმაც აღძრეს. თავად დიდებაშვილი ამ ფაქტებს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევს და დასძენს, რომ კრიტიკული სიუჟეტების მომზადების გამო სამხარეო პოლიცია მასზე განაწყენებულია და მის დისკრედიტაციას გეგმავს.

იმის მიუხედავად, რომ გაჩეხვის ფაქტი ადგილობრივმა მედიასაშუალებებმაც გააშუქეს და იგივე კადრები „მზისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერითაც გადაიცა, ორი დღის წინათ პრეზიდენტი სააკაშვილი თელავის ცენტრში გამართულ კონცერტზე მაინც აცხადებდა, კახელი გლეხები ტელევიზიებისგან ფულს იღებენ და ვენახებს იმიტომ ჩეხენო... სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პრეზიდენტისთვის ამ კონცერტზე ტაში თითქმის არავის დაუკრავს, მით უფრო, რომ მოედანზე ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი და სააკაშვილის გამოსვლაც საკმაოდ ემოციური გახლდათ... (!ძ

ამას წინათ კახეთის მედიასაშუალებების წარმომადგენელთა პრობლემებს მიეძღვნა სპეციალური სემინარი, რომელიც ქ. გურჯაანში ჩატარდა თემაზე: „ინფორმაციის გამჭვირვალობა და საჯაროობა“. მასში მონაწილეობდნენ კახეთის მხარეში მომუშავე ჟურნალისტები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. სემინარზე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა სალომე ვარდიაშვილმა ინფორმაციის დაბლოკვის ფაქტების სიხშირეზე ისაუბრა.

სემინარი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისის ინიციატივით გაიმართა. ორგანიზატორების განცხადებით, მსგავსი შეხვედრების აქტიურად გამართვა ხელს შეუწყობს მხარეში ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, მით უფრო, რომ იქაური მაღალჩინოსნები საჯარო ინფორმაციას გამუდმებით ბლოკავენ.

ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით კახეთში არსებულ პრობლემებზე რეგიონში მოქმედ დამოუკიდებელ ჟურნალისტებს ვესაუბრეთ, რომლებიც საკმაოდ შემაშფოთებელ ფაქტებზე დაუფარავად გვესაუბრნენ. მედიასაშუალებების წარმომადგენლები ინფორმაციის გასაიდუმლოებაში სამხარეო ხელისუფლებას ადანაშაულებენ:

— არაერთხელ ვცადე, პრეზიდენტის რწმუნებულ ნაცვლიშვილის კომენტარი პირადად მომეპოვებინა, რადგან გუბერნატორის ირგვლივ არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა, რომელთაგან საზოგადოება კარგა ხანია უშედეგოდ ელის პასუხს. რაკი რწმუნებულთან შეხვედრა ფაქტობრივად შეუძლებელია, ჩავთვალე, მისი პრესმდივანი მაინც დამეხმარებოდა რწმუნებულთან შეხვედრაში.

იხ. 7 გვ.

**მაგრამ საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს საქართველოში, ქართული დიქტატორული ბუნების გამო, მაინც საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი სჯობია, როცა „პრეზიდენტი არ მართავს, პრეზიდენტი პრეზიდენტობს“**



მზერა შორეთიდან

# სამი პირობა დიალოგის წარმატებისთვის

**საპარლამენტო რესპუბლიკა ეპოქის შესაფერი, თანამედროვე პოლიტიკური მოდელია, რომელიც საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს ქვეყანაში შექმნილი კრიტიკული ვითარებიდან, როდესაც სამკვდრო სასიცოცხლოდ დაპირისპირებიან ერთმანეთს ფიზიკური გადარჩენისათვის მებრძოლი ხალხი და ტოტალიტარულ ძალაუფლებას ჩაბღაუჭებული ხელისუფლება.**

საპრეზიდენტო რესპუბლიკის ქართული ვარიანტის მანკი მის ტოტალიტარულ და უზურპატორულ ძალაუფლებაშია, როდესაც პრეზიდენტი პირადად ნიშნავს ყველა სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელს – პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერსა და ყველა მინისტრს, რესპუბლიკის პროკურორს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო კონტროლის უფროსს (კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შეფობას უშუალოდ თვითონ ითავსებსძ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ტელევიზიის ხელმძღვანელებს (პრესას, კიდევ კარგი, „არ კითხულობს“, თუმცა რედაქციებს ქუჩაში ყრისძ – რითაც თავის ხელში იკრებს ყველას უფლებამოსილებას.

პრემიერ მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე მას „ვარდების რევოლუციის“ მზითევში მოყვნენ, რომელთაგან პირველი გაქრა, მეორე კი ისეთივე ბუტაფორიად ქცეულა, როგორც პრემიერ-მინისტრის ნაცვალი ზურაბ ნოღაიდელი.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა თავისთავად ისეთი საფრთხობელა არ არის, როგორიც მისი დღევანდელი ქართული ვარიანტია. ამერიკისა და საფრანგეთის პრეზიდენტები ვერ ერევიან პროკურორისა და მოსამართლის ფუნქციებში. ბილ კლინტონი, მაგალითად, სასამართლოში გამოიძახეს მონიკა ლევინსკისთან ფლირტის გამო, ხოლო ჟაკ შირაკი – ამერიკაში ვიზიტისას პრეზიდენტის ფონდიდან ცოლისთვის თვითმფრინავის ბილეთის აღებისათვის; „პროკურორმა“ გვარამიამ კი ოქრუაშვილის მიერ საკაშვილის მკვლელობებსა და ფართომასშტაბიან კორუფციაში ბრალდებისათვის ბრალმდებელი ოქრუაშვილი მისცა პასუხისგებაში! პრეზიდენტის დანიშნულია და, აბა, პრეზიდენტს ხომ ვერ მოჰკითხავდა პასუხს?!

სასაცილოა და სატირალიც იქნებოდა, პრეზიდენტს რომ ჰუმანიზმი არ გამოეჩინა და ციხიდან არ გამოეშვა თავისი ბრალმდებელი.

მაგრამ საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს საქართველოში, ქართული დიქტატორული ბუნების გამო, მაინც საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი სჯობია, როცა „პრეზიდენტი არ მართავს, პრეზიდენტი პრეზიდენტობს“.

საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, რომელიც პრეზიდენტს თავის პოსტს უნარჩუნებს, უფლებამოსილებას აღუდგენს ყველა სახელისუფლებო სტრუქტურას და მრავალპარტიულ პარლამენტში აბრუნებს ოპოზიციურ სპექტრსაც, მისაღები და კომპრომისის საფუძველი შეიძლება გახდეს ყველა მხარისათვის, პრეზიდენტის საცეცების გარდა, რომლებსაც პრეზიდენტი უნდა შეელიოს, სანამ ისინი შეელეოდნენ მას.

პარლამენტის „თავმჯდომარე“ დიალოგს სთავაზობს გაერთიანებულ ოპოზიციას. ქ-ნი ნინო ბურჯანაძე: იგი არა მარტო პასუხისმგებლობას გრძნობს შექმნილი პოლიტიკური ჩიხის გამო, არამედ დაინტერესებულიც არის, რომ მოეხსნას ბრჭყალები და პასუხისმგებლობის შესრულება შეძლოს. ამ ვითარებაში გაუგებარია გაერთიანებული ოპოზიციის ჯიუტობა. მართალია, პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეზღუდულია, მაგრამ მათი, როგორც პარლამენტარების, ვალია, მხარი დაუჭირონ თავიანთ თავმჯდომარეს და უფლებამოსილება აღუდგინონ მას, ხოლო მისი საშუალებით თავიანთ თავსაც, რათა ნეიტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და ობიექტური არჩევნების გზით პარლამენტში მოხვდნენ და გაამრავალპარტიულონ იგი.

დიალოგის წარმატებისათვის აუცილებლად მესახება სამი პირობის დაცვა:

**1. საქართველოს ჰყავს საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე, წარმოსადეგი და ნიჭიერი პრეზიდენტი. მისი დისკრედიტაცია მხოლოდ ვნებს და სახელს უტეხს ქვეყანას. იგი შეიძლება დარჩეს პრეზიდენტად კიდევ ხუთი წლის ვადით (შემდეგ პარლამენტმა გადაწყვიტოსძ, ოღონდ იგი უნდა განთავისუფლდეს კომუნისტურ-ტოტალიტარული ცნობიერებისაგან და დასჯერდეს თავის უფლებამოსილებას. ერთადერთი, რაც შეიძლება და სასურველია დამატებით შეუნარჩუნდეს, ეს საგარეო ურთიერთობების გაძღოლა და საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნის უფლებაა.**

**2. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე შემდეგი ვადით დარჩეს აგრეთვე ქ-ნი ნინო ბურჯანაძე, გაწონასწორებული და კოლეგიალური პიროვნება, თავისი სრული და რეალური უფლებამოსილებით.**

**3. დაინიშნოს გაერთიანებული ოპოზიციისათვის მისაღები საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ჩატარდეს სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები მრავალპარტიული პარლამენტის ასარჩევად, რომელიც შემდეგ დანიშნავს პრემიერ მინიტრს, დაამტკიცებს მინისტრთა კაბინეტს და გააკონტროლებს მის მუშაობას.**

**ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!**

**ომარ ხახაშვილი**
ბელგიის მოქალაქე

ყოფა

# ჩაც არ მაქვს, ჩას წამართმევს...

**ჩვენ, სპორტსაზოგადოება „ზეკარის“ წარმომადგენლები ისევ ვიკრიბებით იალღუჯის მთაზე, მზეს ისევ ვასწრებთ ადგომას და პოლიტიკითა თუ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ცინცხალ-ცინცხალი ამბებით და სხვადასხვა ჭირ-ვარამის თხრობითაც კვლავ ვაალმასებთ ენას.**

–ხედავთ, ჩვენზე როგორ ზრუნავს ხელისუფლება?! – აღტაცებულია დავითა, ვეტერანი მეტალურგი, მარტენის ცეცხლთან ათწლეულების მანძილზე ნაომარი და ამჟამად 48-ლარიანი პენსიის პატრონი, – ას-ას ლარიან ვაუჩერს გვჩუქნის, ააშენა ღმერთმა.

– ვაი შენს პატრონს, – შეიცხადა ყოფილმა ვაჭრობის მუშაკმა, დღეს ამ საქმეში ღრმად ჩახედულმა გოგიამ, – მიამიტი ხარ, ას ლარს რომ გაძლევს, სამჯერ მეტს აგაფცქვნის...

– რაც არ მაქვს, რას წამართმევს, – ცოტა არ იყოს შეცბუნებული დავითა ბუღა თვალებით მიაჩერდა ორძელთან მობუღრავე მეგობარს.

– გიპოვის და კუჭიდანაც ამოგიღებს კიდევაც, – დამაჯერებლად პასუხობს გოგია, – სანამ იმ ვაუჩერს დაგირიგებენ, შენი კისრიდან წინასწარ ამოიღებენ. აგერ, ერთ დღეში შაქრის ფასმა სამჯერ მოიმატა, ლამის გაორმაგდა. ახლა პურის ფასი იკითხე. ხორცპროდუქტებს ვერ გაეკარები. მარილი რომ ლარი გახდება... ისე, მაღაზიაში თუ დადიხარ? ის ამონაგები თანხა სად მიდის თუ იცი?

–ოჯახს მეუღლე ამარაგებს, – არ თმობს პოზიციას დავითა, – ფულს შვილი მიგზავნის.

– ბოკერია და უგულავა რომ გულაობენ ტელევიზიაში, – სხვა ტალღაზე გადართო საუბრის თემა ყოფილმა მშენებელმა, ჯანღონით სავსემ, იალღუჯის თხემის ყოველ დილით დამლაშქრავმა სანდრომ – მაინც ვერ გავიგე, რომელი ქვეყნის პოლიტიკოსები არიან ეგენი. რასაც ასე გულდასმით გვაზოლებენ, ვის ჯერა, ვისთვის იქავებენ ენას? ჩვენთან ხომ ყველაფერი პირიქით ხდება?! ცხოვრება დღითიდღე უარესდება და...



– კირკიტაძე, აი, ეგ არის, რაც არის, – ლევანი, ქიმიკოსი კაცი, დიდი პროფესიონალი, თავის დროზე ოქროდ რომ ულირდა ქვეყანას ასეთები, ახლა ჯოკერისტია, ბანქოში გაიწაფა, – დიდია განგების ძალა, მაინც როგორ გამოაცხობს ასეთ კოლორიტულ ფიგურებს... დაიქოქება, შუბლზე ერთი ძარღვიც რომ არ უტოკდება, ვითომ გვაბრიყვებს თავისი ჭკუით და რასაც უბერავს, თვითონ თუ სჯერა ნეტავი?!

– კიდევ კარგი, ჩვენი საზოგადოება „ზეკარი“ ოლიმპიელთა საბჭოს წევრი რომ არაა, თორემ ხომ თავი მოგვეჭრებოდა, – ჩვენი ჯგუფის ერთადერთი მომუშავე ახალგაზრდა კაცი, ვახტანგი, ორძელიდან ჩამოხტა და დიალოგში ჩაერთო, – მაინც როგორ შეარცხვინეს და გააუფასურეს ოლიმპიური მედლის ღირსება. მათი საქციელი არაკაცობაა. ჩვენმა ნონამ, კი ბატონო, პირში მიახალა სიმართლე, მაგრამ ამით რა?!

– არადა, ეს პირველი არხი... – ახლა მეც ვერთვები დიალოგში, – „რუსთავი-2“ კი ბატონო, ბოკერია-უგულავას პლატფორმაა, სამთავრობო ბოსების საკუთრებაა, მაგრამ საზოგადოებრივი არხიო... ოცდაათ წელზე მეტი ვიმუშავე ამ ტელევიზიაში. კი, მაშინ ხელისუფლების ნებას თითქოს ვერავინ გადააბიჯებდა, მაგრამ იმ ერთადერთი ტელევიზიით იმდენი ეროვნული საქმე კეთდებოდა, იმდენი მამულიშვილური სითბო და სიყვარული იფრქვეოდა, დღეს იმ თემებზე ხმა რომ ამოიღო, ოქრუაშვილზე უარესს დაგმართებენ. არადა, საზოგადოებრივია, ჩვენი კისრიდან ფინანსდება, ხომ?!

– კარგით, ხალხო, ღმერთი არა გწამთ?! – ჩვენი საზოგადოების ქალთაგან ერთ-ერთი, ქალბატონი ნანა, სამი შვილის დედა, ერთბაშად აფეთქდა, – ნუ მომიშხამეთ ეს მშვენიერი დილა. შეხედეთ მზეს, რა ლამაზად ამოგურგურდა ჰორიზონტზე, აქედან რა მშვენიერი დასანახია ქვეყანა, თქვენ კი ამ სილამაზეს მიწამლავთ, ბედნიერ წუთებს მართმევთ. ეგ ერთი სიამოვნება გვაქვს, ხალხო და ეს მაინც შეირგეთ.

ნანას ტასომაც და სხვებმაც აუბეს მხარი. განა ღირს ასეთი მშვენიერი დილის იმ პრობლემებით დამძიმება, რაც ისედაც თავსაყრელად დაგვხვდება კუნთებგაკაჟებულებს, შინ რომ დავბრუნდებითო.

ჩაფიქრებულმა დავითმა განზე გაიხმო და მეჩურჩულება:

– იცი, ეს ჩვენი გოგია მართალია. რაც იმან თქვა, სწორედ ეგრე გამოდის რა. ჩემი მეუღლე სულ წუწუნებს, არა გვწვდება შემოსავალი. შვილი კი გვიგზავნის დოლარს, მაგრამ იმასაც რომ დაუკარგეს ფასი?! ლამის ლარს გაუტოლდეს მისი ღირებულება და ლარი კი ვიცით რა ბედენაა აწი. ისე, მგონია იმ წყეული შევარდნაძის მთავრობის 14 ლარი გაცილებით სჯობდა ამათ ნაწყალობევ 40 ლარს.

დათო გვიან კი მოვიდა აზრზე, ჰოდა, ხმამაღლა გამოაცხადა, სოფელში ვარ წასასვლელი, 96 წლის დედას მოსავლის აღებაში უნდა დავხმარებოდი, მაგრამ გადავიფიქრე, 2 ნოემბერს მეც სხვებთან ერთად სიმართლის მხარეზე დავდგები. მიტინგებზე დგომის გამოცდილება ხომ მაქვს და მაქვსო.

**გივი ჯახუა**

ინფორმაცია

## რუსულ ბაზარზე აფხაზური ღვინო ოფიციალურად დაუშვეს

**აფხაზური ღვინო რუსულ ბაზარზე ოფიციალურად დაუშვეს. ამის შესახებ რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გენადი ონიშჩენკოს ინფორმაციაზე დაყრდნობით სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება.**

**„აფხაზური ღვინისა და კონიაკის თერთმეტივე ნიმუშს ექსპერტიზა ჩაუტარდა და დადებითი დასკვნა დაიწერა. რუსეთში აფხაზური ღვინის შეტანას დღეს არაფერი უშლის ხელს“, – განაცხადა ონიშჩენკომ.**

**კომპანიის „აფხაზეთის ღვინოები და წყლები“ გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე აჩბამ რუსულ ბაზარზე აფხაზური ღვინის დაბრუნების თაობაზე მოსკოვთან მოლაპარაკებები, დაახლოებით, ერთი თვის წინათ დაიწყო.**

**თუმცა აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში წარმოებული ღვინის ეტიკეტებზე რუსეთის სახელმწიფო სტანდარტის ნიშანი და შტრიხკოდია დატანილი. შესაბამისად, აფხაზური ღვინო რუსულ ბაზარზე ამჟამადაც თავისუფლად იყიდება.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

# მოგვისმინეთ!

● ოპოზიციური პარტიების მთავარი ამოცანა ეროვნული იდეის ამოქმედება უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ ერი და პიროვნება თანაბრად დაიცვას. „ქართული აკადემია“ ცდილობს გამოხატოს ის, რაც ცალკეულ პარტიებში ფარულად და არაცნობიერადაა წარმოდგენილი



**◎ კომპეტენტური აზრი**

*საქართველოში პოლიტიკური ვითარება დღითი დღე რთულდება და საზოგადოებრიობის ვნებათაღელვა ლამის პიკს აღწევს. ამ დღეებში სხვა ქვეყნების აგენტთა და შეთქმულთა თემა ისევ აქტუალური გახდა. ხელისუფლებამ სახელმწიფოს საწინააღმდეგო შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორად ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი „გამოაცხადა“.*

*გაერთიანებულმა ოპოზიციამ საზოგადოებრიობას თამამი ლოზუნგი: „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“ შესთავაზა. მათი განმარტებით, ეს ლოზუნგი მხოლოდ სახელმწიფოს მმართველობის ფორმას გულისხმობს. ოპოზიციის დიდმა ნაწილმა საქართველოში საპარლამენტო მმართველობას მიანიჭა უპირატესობა.*

*ირაკლი ოქრუაშვილის აღიარებითმა ჩვენებამ საზოგადოებრიობა ააფორიაქა და დააბნია. ხელისუფლებამ კი მის ბრალდებებზე პასუხს, დუმილი ამჯობინა. ამით საზოგადოებრიობაში ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა. ირაკლი ოქრუაშვილმა კი პოლიტიკიდან წასვლა ამჯობინა და ამით ხელისუფლების „წისქვილზე დაასხა წყალი“.*

*კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის იდეას საქართველოში მმართველობის ფორმად მონარქიის შემოღების შესახებ საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი მიემხრო და დადებითად შეხვდა.*

*აი, ის თემები, რომელთა ირგვლივ სასაუბროდ აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს ვეწვიეთ.*

# შოთა ნადირაშვილი: –
# „დამამხობლის მეთაური მომავალში დასამხობ მთავრობას შექმნის!“

**— საზოგადოებრიობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ირაკლი ოქრუაშვილზე ზეწოლა მოახდინეს და ამის შედეგად მიიღეს აღიარებითი ჩვენება. რამდენად მართებულია ეს აზრი?**

— ამ აღიარებითი ჩვენების სტილი ტელემაყურებლის თვალში ბუნებრივად გაკვირვებას იწვევს და კითხვებს ბადებს. რა მოხდა? აქამდე შეუპოვარი, ძლიერი პიროვნება, რომელიც ხელისუფლებას სერიოზული ბრალდებებით ებრძოდა, რატომ დამარცხდა? იმ პოზიციისათვის, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, რომ აღიარება მცდარია ან არა, ამის სააშკარაოზე გამოტანა სასარგებლო არ იყო. ეს ყველაფერი ჩვეულებრივი პროცესების შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ასეთ დროს ამბობენ, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება გატყდა ან გატეხეს.

ამ მოვლენის შეფასება უფრო რთული ხდება, რადგან ირაკლი ოქრუაშვილს ძალზე მკვეთრი განცხადებები ჰქონდა, მაგრამ ამჯერად, მან აღიარებით ჩვენებაში ლამის ყველაფერი უარყო. მას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა თვალში გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა. ის ხელისუფლების მომხრეებისთვის თანდათან ძალზე მიუღებელი გახდა, ხოლო ოპოზიციისთვის — მისაღები. ვფიქრობ, გამორიცხულია, რომ ის მომხდარზე ციხეში დაფიქრდა ან მას მძიმე სასჯელის შეეშინდა და ბრალდებები ამიტომ უარყო. ირაკლი ოქრუაშვილი ციხეში მოხვედრის, ამ მძიმე მდგომარეობისთვის ასე თუ ისე მომზადებული იყო. ჩემი აზრით, ხელისუფლების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მხრიდან ეს მოვლენა ბუნებრივად, გასაგებად ვერ შეფასდება. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მას ბრალდებათა დამამტკიცებელი მასალები არ ჰქონდა და ყველაფერი ამიტომაც უარყო, ხოლო ოპოზიცია ფიქრობს, რომ მასზე ზეწოლით იმოქმედეს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, ეს აღიარება ბუნებრივი პროცესი და მდგომარეობა არ არის.

ვფიქრობ, მასზე ძალზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინეს, რადგან ის ჩვენებისას ისე გამოიყურებოდა, როგორც დანგრეული პიროვნება. მას აღიარებისას ძალზე სერიოზულ საკითხებზე არ უმსჯელია და საზოგადოებრიობისთვის არ აუხსნია, თუ რატომ ადანაშაულებდა ხელისუფლებას და შემდეგ ყველაფერი რატომ უარყო. ცხადია, რომ ის დათანხმდა იმაზე, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ტელევიზიით ადამიანის არასოციალურ გარემოში განსჯის ჩვენება გამართლებული არ არის. კამერით გადაღებული აღიარებითი ჩვენება გაბმული პროცესი არ იყო, რადგან ყოველ შეკითხვაზე მისი პასუხი ერთი ნოველა გახლდათ. შემდეგ ეს ნოველები მექანიკურად გააერთიანეს, მაგრამ მასში ირაკლი ოქრუაშვილის დამოკიდებულება და ამ აღიარების წინაპირობა არ გამოჩნდა, ამიტომ ამ პროცესმა მთლიანობის შთაბეჭდილება ვერ დატოვა.

შესაძლებელია, მასზე ზეწოლის სხვადასხვა ფორმით იმოქმედეს, მაგრამ ამის დაბეჯითებითი თქმაც დაუშვებელია. მას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის კვალი ნაწილობრივ ემჩნეოდა, ამიტომ მის მიმართ საზოგადოებრიობაში თანაგრძნობის განცდა გაჩნდა. ეს აღიარება დაკითხვის შედეგის ჩვენება იყო, რომელიც ციხის მძიმე პირობებში სასამართლოს ოფიციალური მოწმეების გარეშე გაიმართა. ამით ხელისუფლებამ მიიღო ის, რაც სურდა, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ის, რომ საზოგადოებრიობის მტყუან-მართლის გარკვევის დიდი ინტერესი ვერ დააკმაყოფილა. ეს ადამიანი თავისუფლების უმაღლესი ხარისხით ლაპარაკობდა ისეთ საკითხებზე, რის თქმასაც ყველა ვერ ბედავს. ფაქტია, რომ მისმა აღიარებამ საზოგადოებრიობაზე უნდობლობის შთაბეჭდილება დატოვა. ხელისუფლებამ საზოგადოებრიობას აბსოლუტურად დამარცხებული ადამიანი დანახვა, რომელიც გარეგნულად ირაკლი ოქრუაშვილი იყო, მაგრამ რადიკალურად შეცვლილი. ოპოზიცია მისი პირველი თამამი განცხადების გამო მადლიერია, მაგრამ აცხადებს, რომ გაერთიანდნენ არა ლიდერის გარშემო, არამედ პრეზიდენტისა და ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო.

**— ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალურ ბრალდებებზე ხელისუფლება პასუხის გაცემას თავს არიდებს. საზოგადოებრიობა კი გაურკვევლობაშია და ეს დუმილი მასზე გამაღიზიანებლად მოქმედებს. ხელისუფლებას სიმართლე და ბრალდებები არ გაუმიჯნავს და თავი არ უმართლებია. რატომ?**

— ხელისუფლებამ ამ პროცესებით ვერ მოიგო, რადგან ის ბრალდებები მაინც უპასუხოდ დატოვა. საზოგადოებრიობის კეთილგანწყობა კი ოპოზიციამ მოიპოვა. ხალხი ოპოზიციას მიემხრო და საკუთარი პროტესტი აქციაზე მისვლით გამოხატა. ვფიქრობ, ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციის წარმომადგენელი არ იყო, რადგან ის ხელისუფლების შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობა იყო.

**— 28 სექტემბერს აქციაზე 20 ათასამდე ადამიანი მივიდა, რომელთა შორის ე. წ. „ჩარეცხილი“ ინტელიგენციის დიდი ნაწილიც იყო. ისინი ხელისუფლებისგან ბრალდებებზე პასუხის მისაღებად, შელახული ღირსების აღსადგენად და უკიდურესი სოციალური მდგომარეობის გამო შეიკრიბნენ. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრიობა, სახელმწიფოებრივი აზროვნების თვალსაზრისით გაიზარდა?**

— ფაქტია, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებრიობასთან ურთიერთობაში წააგო და ამ პროცესით მისი კეთილგანწყობა ვერ მოიპოვა. საზოგადოებრიობამ იგრძნო, რომ ხელისუფლებისადმი დაპირისპირება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. დაპირისპირების დროს, საჭიროა იმ დადებითი პოზიციების კარგად ჩამოყალიბება, რითაც ხალხი ხელისუფლებას უნდა ებრძოდეს. ხალხი მიხვდა, რომ საჭიროა, შეკავშირებული ოპოზიცია, რომ მან ან დაამარცხოს ხელისუფლება ან უფრო გონიერი გახადოს ის. ამ თვალსაზრისით, საზგადოებრიობამ შეხედულებები დახვეწა, რადგან მიხვდა, რომ საკუთარი უფლებებისა და მოთხოვნილებებისთვის ბრძოლა გააზრებულად და საჭირო არგუმენტების დაგროვებით უნდა მოხდეს. ასე რომ, საზოგადოებრიობა ინტელექტუალურ პოზიციაზე დადგა, ამიტომ ის უფრო საშიშია.

**— ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი ხელისუფლების საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზატორად გამოაცხადეს. რაზე მიანიშნებს ეს და რამდენად მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებამ რეპრესიებსა და დევნას მიმართოს?**

— ხელისუფლებას რეპრესიების მოწყობა სურს, მაგრამ თავს იკავებს. ირაკლი ოქრუაშვილმა ბადრი პატარკაციშვილი მსხვერპლად გამოაცხადა და თქვა, რომ ხელისუფლება მის ჩამოშორებას აპირებდა. ხელისუფლება ამ ბრალდების უარყოფის მაგივრად, ბადრი პატარკაციშვილის შევიწროებას შეეცადა და ის შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორად გამოაცხადა.

**— ოპოზიციურ პარტიათაგან ეროვნული ინტერესების გამომხატველ ძალას ან ლიდერს თუ გამოყოფდით?**

— ოპოზიცია ხელისუფლებას ბევრი თვალსაზრისით უპირისპირდება, მაგრამ ჩემი აზრით, სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული ასპექტია. ოპოზიციის გაერთიანების საფუძველი არა ცალკეული პრობლემები უნდა იყოს, არამედ — ეროვნული ინტერესები. ხელისუფლების მომხრე პარტიას „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია, მაგრამ ისინი ეროვნულ საკითხს უგულებელყოფენ. სამწუხაროდ, ზოგადეროვნულ თვალსაზრისს საქართველოში ოპოზიციის წარმომადგენლები ჯერჯერობით არ ითვალისწინებენ. „ქართული აკადემიის“ პროგრამა აგებულია იმაზე, რომ მთელი ოპოზიცია ეროვნული ინტერესების გარშემო უნდა გაერთიანდეს. რამდენიმე ოპოზიციური პარტია დემოკრატიულობას ხაზს უსვამს და მხოლოდ პიროვნების უფლებათა დაცვას ემსახურება და ერის არსებობა ავიწყდება. ოპოზიციური პარტიების მთავარი ამოცანა ეროვნული იდეის ამოქმედება უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ ერი და პიროვნება თანაბრად დაიცვას. „ქართული აკადემია“ ცდილობს გამოხატოს ის, რაც ცალკეულ პარტიებში ფარულად და არაცნობიერადაა წარმოდგენილი. ყველა პოლიტიკური ძალა აცხადებს, რომ ის საქართველოსთვის იბრძვის, მაგრამ მთავარი პრობლემები ნათლად ჩამოყალიბებული არა აქვს. სამწუხაროდ, საქართველოში შეხედულებები ცალმხრივია და მხოლოდ პიროვნების დაცვაზეა ორიენტირებული.

საქართველოს პატრიარქი ამბობს, რომ უმაღლეს ღირებულებებში, რომელთაც ერები და სახელმწიფოები პატივს სცემენ, მთავარი ღმერთი, სამშობლო და ადამიანია. ერს, როგორც ცოცხალ არსებას დაცვა სჭირდება. ადამიანი მაქსიმუმ ას წელს ცოცხლობს, ერი კი — საუკუნეები. თაობები ერის სტრუქტურას ავსებენ, ამიტომ მისი განვითარება მუდმივად გრძელდება. საქართველო სახელმწიფოს, როგორც ეროვნულ ერთეულს, უჭერს მხარს. ამერიკელები კი პიროვნებაზე არიან ორიენტირებული. ასე რომ, ქართველებისთვის ერისა და პიროვნების დაცვა მნიშვნელოვანი და ტოლფასოვანი ამოცანაა. საქართველოში ეროვნული ინტერესების გამომხატველი ბირთვი ეკლესია და „ქართული აკადემიაა“. ეს ორი მთავარი ძალაა, რომელიც ეროვნულ იდეას აღვივებს და ქვეყნის, ენის, კულტურის და ქართული სულიერების დაცვას ემსახურება.

**— გთხოვთ, პარალელი გაავლოთ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ხელისუფლების ძალადობის გზით შეცვლასთან და დღევანდელობასთან: რამდენად მოსალოდნელია რევოლუცია ან სახელმწიფო გადატრიალება?**

— ეს შესაძლებელია, მაგრამ პოლიტიკური ძალები მიხვდნენ, რომ სახელმწიფო გადატრიალებით საკითხი არ წყდება. ზვიად გამსახურდიამ ძალზე დიდი საქმე გააკეთა და ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუპოვა, მაგრამ მან თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების და ქართველთა გაერთიანების იდეა ვერ მონახა. მან მოწინააღმდეგეთა ჩამოცილება დაიწყო, ამიტომ მათ მისი ხელისუფლება დაამხეს. ედუარდ შევარდნაძემაც ვერ გამონახა თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოს აშენების იდეა და ის მიზანი, რომელსაც საზოგადოებრიობა სამოქმედოდ დაისახავდა. ამ ამოცანის შესრულება ჯერჯერობით ვერც მიხეილ სააკაშვილმა შეძლო. მისი მთავარი ამოცანა ისაა, რომ როგორმე ისეთი ურთიერთობა დაამყაროს ძლიერ ქვეყნებთან, რომლებიც ხელისუფლების შენარჩუნებაში დაეხმარებიან.

საზოგადოებრიობისთვის ხელისუფლების დამხობა მიუღებელია და ამის მომხრე ფაქტობრივად არავინაა, რადგან ნიშანდობლივია, რომ დამამხობლის მეთაური მომავალში დასამხობ მთავრობას შექმნის. ასე რომ, როცა ხელისუფლება დაპირებებს არ ასრულებს, არჩევნებს აყალბებს და საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობაში არ შედის, ხალხს მეტ გზას აღარ უტოვებს. ზოგადად, ყველა ხელისუფლება თუ ეროვნულ იდეას არ გაითავისებს და საზოგადოებრიობის მატერიალურ-კულტურულ-სოციალურ მდგომარეობაზე არ იზრუნებს, დამარცხდება. ასე რომ, საზოგადოებრიობაში ხელისუფლების ძალადობით დამხობის გზით ძალაუფლების მოპოვების იდეა თანდათან გაქრა, მაგრამ თუ ხელისუფლების უმოქმედობა დიდხანს გაგრძელდა, ეს იდეა შეიძლება აქტუალური გახდეს.

**— ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში საპარლამენტო მმართველობა გაამართლებს, ნაწილი კი პატრიარქის ინიციატივას — კონსტიტუციური მონარქიას უჭერს მხარს. თქვენი აზრით, საქართველოში მმართველობის რომელი ფორმა გაამართლებს?**

— ცხადია, რომ დღევანდელი საქართველოსთვის საპარლამენტო მმართველობა უფრო შესატყვისია. პარლამენტი დიდი საზოგადოებაა, რომელსაც ქვეყნის გონივრულად მართვა შეუძლია. ქვეყანაში, რომელსაც თავისუფლებაში კარგა ხნით არ უცხოვრია, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის პირველობის მოპოვების სურვილი ჩნდება. პატრიარქის სიტყვას დიდი ძალა აქვს. მან საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის შემოღება ყველაზე ნათელ და გონივრულ გზად დასახა. მეფობა ქრისტიანულ-მორალურ ცნებასთან და მის ისტორიულ ფუნქციებთან იქნება დაკავშირებული. მეფობის აღდგენით, ქვეყანაში რწმენა და სახელმწიფოს ძალაუფლება გაერთიანდება. მეფე გარეგნულად და საურთიერთობო საკითხებში შეასრულებს ისეთ როლს, რომელსაც მეფეები სხვა ქვეყნებშიც ასრულებენ. მეფე რწმენას, ძალას და გონებას გააერთიანებს და ერის ამოცანებსა და მიზნებს განახორციელებს. რწმენას, ძალას და გონებას შეუძლია, რომ ქვეყანა სამართლიან, ძლიერ, იდეის დამცველ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბოს. ამ იდეისკენ სვლა აუცილებელია. ხელისუფლებას ამ იდეის მკვეთრად უარყოფა გაუჭირდა. მან ეს საკითხი ორად გაყო და განაცხადა, რომ ეს იდეა კარგია, მაგრამ სამომავლოდ. ეს იდეა მომწონს, რადგან მის საფუძველზე ეროვნული სახელმწიფოს აშენება რეალურად შესაძლებელია.

**ესაუბრა**
**მაია ხორგუაშვილი**

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

**მისი განცხადებით, სამხრეთ საქართველოში სომხების მასობრივმა ემიგრაციამ და მათ მიერ მიწების დაკავებამ, ქართული საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია**



## სიმართლე კი ასეთია!..

# ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

შემდეგ იგი უფრო შორს მიდის და კატეგორიულად დაასკვნის, რომ თურქების კავკასიაში გამოჩენის ადრეული ისტორიის მოკლე მიმოხილვა და საქართველოს ტოპონიმიკა, პირველ რიგში მესხეთისა აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ მე-2 და მე-8 სს. აქ, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთში და აღმოსავლეთში მრავალრიცხოვანი თურქული ტომები დამკვიდრებულან, რომლებსაც მე-7 და მე-8 სს. მთელ რიგ რეგიონებზე კონტროლის დაწესება მოუხერხებიათ.

ავტორი სიამაყით აცხადებს, რომ მკვლევარებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ძველი თურქები, თვით აბსოლუტურ უმცირესობაში მყოფნიც კი, ადგილობრივ მოსახლეობაში არ ითქვიფებოდნენ. მე-9 მე-10 სს. თურქების ნაკადი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში შესამჩნევად შესუსტდა, ამავე დროს მე-9 მე-10 სს. სამხრეთ კავკასიაში მახლობელი აღმოსავლეთიდან ქურთული ტომების მიგრაცია დაიწყო. მე-10 მე-11 სს. მესხეთში მარდგიზების და კიკინების ქურთული ტომები დასახლებულან, რასაც ასპინძის რაიონში სოფელი მარგასტანი და ადიგენის რაიონში სოფელ კიკინეთის ქურთული ტოპონიმები ადასტურებენო, გვაუწყებს სამართალდამცველი „მკვლევარი“.

მე-11 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მეორე თურქული ტალღის შემოღწევა დაიწყო. მე-11 მე-12 სს. საქართველოს სამხრეთში და აღმოსავლეთში თურქული ტომები — ოღუზები დასახლებულან. ახლად გამოცხვარ ისტორიკოსს მათი შემოსახლების არეალად ქვემო ქართული და სამცხე-ჯავახეთი მიაჩნია. მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღები ძირითადად საქართველოს სამხრეთში — სამცხეში, ჯავახეთში, კოლაში და მათ მიმდებარე ოლქებში დასახლებულან. მაშინ, როდესაც ახალ ყივჩაღებს ძირითადად ქვემო ქართლის მიწები საქართველოს თანამედროვე ბოლნისის და გარდაბნის რაიონები აუთვისებიათ, როგორც თვითონ აცხადებს. ასევე ისინი სომხეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში დამკვიდრებულან. ავტორი აკრიტიკებს თანამედროვე ქართველ ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ დავით მე-4-ის დროს გადმოსახლებულმა ყივჩაღებმა ძალიან მალე განიცადეს ასიმილაცია, გაქრისტიანდნენ, შეითვისეს ქართული ენა, რაც მე-11 მე-12 სს. საქართველოს ისტორიაში ყივჩაღების როლის დამცირებად მიაჩნია. იგი თურქ და აზერბაიჯანელ მკვლევართა შრომებზე დაყრდნობით, ავითარებს თეორიას, რომ თითქოს ქრისტიანობის მიღების შემდეგ გადმოსახლებული ყივჩაღები არ გაქართველებულან.

იუნუსოვის განცხადებით, მე-12- მე-13 სს. საქართველოში გადმოსახლებული თურქული ტომები — 300-350 ათასი სულის რაოდენობით — ძირითადად გადმოსახლდნენ იმ რაიონებში, სადაც ამჟამად აზერბაიჯანელები და მესხეთელი თურქები ცხოვრობდნენ. იგი იქვე განმარტავს: თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-11 და მე-12 საუკუნის საქართველოს სამხრეთსა და აღმოსავლეთში დამკვიდრდა ასიათასობით ოღუზი, მაშინ ნათელი გახდება, რატომ ყოფდნენ იმდროინდელი მემატიანენი საქართველოს ქართლად და დიდ თურქობად (დიდი თურქესტანი).

ქართულ ისტორიულ წყაროებში ვერ შეხვდებით მსგავს ცნობას, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ერთეულებად ამგვარ დაყოფას ასახავდეს. დიდი თურქობის ქვეშ თურქ-სელჩუკთა შემოსევები და მათ მიერ ქვეყნის იავარქმნა იგულისხმება. ავტორის პანთურანისტული მიზანი ნათელია: როგორმე უძველესი დროიდანვე სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და ჩრდილოეთ სომხეთის თურქულობა დაამტკიცოს და ამით თურქული რკალის შეკვრას — თურქეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, ჩრდილოეთ სომხეთი-იდეოლოგიური ნიადაგი მოუმზადოს.

თურმე, იმ დროისათვის საქართველოს სამხრეთ რაიონებში ზოგიერთი ქურთული ტომებიც იყო დამკვიდრებული. ამასთან ერთად გაქორისტიანებული თურქული (ყივჩაღები) და ქურთული ტომები საქართველოს სამხრეთის მიჯნებს იცავდნენ. აქ სელჯუკთა მსგავსად შეიქმნა სპეციალური სასაზღვრო ერთეულები საერისთავოები (ქართული მონაპირე ერისთავი). თურმე ნუ იტყვით და სამცხის მონაპირე ერისთავი, მესხი ყვარყვარე ჯაყელი ყივჩაღი კორკორა ჯაყელი ყოფილა. ასევე თურქიაო სარგის ჯაყელი, ყივჩაღური ფეოდალური გვარის ფუძემდებელი. ირანში მმართველი მონღოლური ფენის ისლამიზაციამ სამცხის ბედზე თავისი გავლენა იქონია და არამცირე ნაწილმა ყივჩაღებისა და, შესაძლოა, ქურთებისამ ისლამი მიიღო. მე-14 საუკუნის ბოლოს და მე-15 საუკუნის დასაწყისში საქართველოში თემურ-ლენგისა და ალ-ყოინლუს და ყარაყოინლუს შემოსევების შემდეგ, რომელიც უშუალოდ შეეხო სამცხეს, აქ თურქული ეთნიკური კომპონენტი კიდევ უფრო გაძლიერდა.

იუნოსოვის უვიცობა, თუ შეგნებული თავხედობა იქამდე მიდის, რომ სამცხის ათაბაგს მზეჭაბუკს, მირზა-ჭაბუკად მოიხსენიებს, შემდეგ იგი გვაუწყებს, რომ თურქული ტომების ინფილტრაცია სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მუდმივად გრძელდებოდა პოსტ-მონღოლური პერიოდის შემდეგაც (მე-17 და მე-18 სს.). მთელი ამ დროის განმავლობაში აქ მოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ თურქული ტომები, რამაც ადგილობრივ ტოპონიმიაშიც პოვა ასახვა. აღმოსავლური, პირველ რიგში ოსმანური წყაროების, აგრეთვე ქართული ტოპონიმიის მონაცემებით, მე-15 და მე-17 სს. მცირე აზიიდან სამცხის ტერიტორიაზე ვითომდაც თურქული ტომების არამცირე ნაწილი გადმოვიდა.

იუნუსოვის მონოგრაფიაში მესხეთში ოსმალთა ბატონობის პერიოდსაც მომოიხილავს. იუნუსოვს მიაჩნია, რომ ოსმანთა ბატონობის პერიოდში სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები თურქულიც ეთნიკური ჯგუფების ეთნოსად ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ დასრულდა. მისი განცხადებით, სისხლისმღვრელი ომები მესხეთში მთლიანობაში შეწყდა, რამაც აქ მცხოვრები სხვადასხვა თურქული ტომის კონსოლიზაციისა და ერთ ეთნოსად საბოლოო ფორმირების საქმეში (ერთიანი თურქული ენითა და ერთიანი კულტურით) დიდი როლი შეასრულა.

იუნუსოვის მტკიცებით ოსმანური პერიოდი მესხეთის ისტორიაში სამცხე-ჯავახეთში ახ.წ. დასაწყისში დამკვიდრებული ძველი თურქებისა და გვიან ხანებში აქ ანატოლიიდან და აზერბაიჯანიდან შემოსახლებული თურქული ტომების ეთნიკური გაერთიანების პროცესში გადამწყვეტი გახდა. იუნუსოვის მტკიცებით, მართალია ქართველი გლეხობის რაღაც ნაწილმა მესხეთში სხვადასხვა მიზეზის გამო ისლამი მიიღო, მაგრამ ოსმალეთის იმპერიაში დაპყრობილი მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის მასობრივი გამაჰმადიანება პრაქტიკაში არ იყო, ვინაიდან უმაღლესი ხელისუფლება და მუსლიმური სამღვდელოება ამას უარყოფითად უყურებდა. ამიტომაც მესხეთში იძულებით ასიმილაციას არ ჰქონია ადგილი. იუნუსოვი ქართული მოსახლეობის იძულებითი ასიმილაციის და შემდგომი გათურქების ფაქტს ეჭვ ქვეშ აყენებს. ის აცხადებს, რომ მართალია სარწმუნოების შეცვლა მოსახლეობის ღრმა კულტურულ და იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას იწვევდა, მსოფლმხედველობის შეცვლას, შემდეგ ენისა, რაც საბოლოოდ ასიმილაციით მთავრდებოდა. მაგრამ მკვლევარებმა, რომლებიც მესხეთელი თურქების პრობლემას სწავლობენ, დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ისლამიზაციის ფაქტი არ არის საკმარისი ასეთ შედარებით ხანმოკლე დროში მოსახლეობის ღრმა თურქიზაციის ასახსნელად. ეს ბუნებრივია, ვინაიდან მრავალი ხალხების ეთნიკური ისტორია აჩვენებს, რომ სრული ასიმილაციისათვის 4-5 ან მეტი ასწლეული საჭირო. მას თურქეთის ქართველების, აჭარლების და ინგილოების მაგალითები მოჰყავს, რომლებმაც ეთნიკური თვითშეგნება შეინარჩუნეს.

მისივე მსჯელობიდან გამომდინარე, იგი დაასკვნის, რომ მესხეთის ოსმალთა მფლობელობაში გადასვლის შემდეგ ადგილობრივი ქართველების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა, ძირითადად წარჩინებულთ, მიიღეს ისლამი, მაგრამ ეს ჯგუფიც ბოლომდე არ დეეთნიზირებულა. ადგილი ქონდა რჯულის შეცვლას, თუმცა ადგილობრივი ქართული ეთნიკური თვითშეგნება ძირითადად შენარჩუნდა. ქართველთა მასობრივი თურქიზაციაზე საუბრისათვის საფუძველი არ არსებობს. მართალია, გარკვეული ნაწილი ქართული ეთნოსისა, ძირითადად წარჩინებულები ახისკის თურქთა შემადგენლობაში შევიდა, ძირითადი როლი თურქულმა ტომებმა და ხალხებმა შეასრულეს, საქართველოში სამხრეთ რეგიონებში ახ. წ. მე-2 და მე-3 საუკუნეებში რომ მკვიდრობდნენ. ა. იუნუსოვი მესხეთის რუსთა მფლობელობაში ყოფნის პერიოდსაც განიხილავს. მას ცარიზმის მიერ შევიწროებული და თურქეთში განდევნილი ადგილობრივი მოსახლეობა — გამაჰმადიანებელი ქართველები თურქებად მიაჩნია. ა. იუნუსოვს ერთგვარ დისკომფორტს უქმნის ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულის სტატისტიკურ მონაცემებში მკვიდრი მაჰმადიანური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველ სუნიტებად მოიხსენიება და ცდილობს ამ ფაქტს თავისებური ინტერპრეტაცია მოუძებნოს.

მისი განცხადებით, სამხრეთ საქართველოში სომხების მასობრივმა ემიგრაციამ და მათ მიერ მიწების დაკავებამ, ქართული საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. საქმე ხომ ქართულ ტერიტორიას ეხებოდა, სადაც ეთნიკური ქართველობა ცოტა იყო. სამხრეთ საქართველოში სომხების, ბერძნების, რუსების განსახლება ქართველების რიცხვის შემცირების ხარჯზე მიმდინარეობდა, რასაც ქართველი საზოგადოება მტკივნეულად აღიქვამდა. გამოქვეყნდა შრომები, რათა დაემტკიცებინათ, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი მესხეთის მუსლიმებისა ოსმალთა ბატონობის პერიოდში გამაჰმადიანებული ქართველები არიან. სწორედ ამან განაპირობა, იუნუსოვის მტკიცებით, რუსული ადმინისტრაციის მხრივ, რომ ქართული საზოგადოების აზრი გაეთვალისწინებინათ და მათ მიერ ახალციხის მაზრის მაჰმადიანური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებად ჩაეწერათ.

**ზურაბ ცინცაძე**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 198.**

## ინფორმაცია

### ქართული ოქრო პარიზის „ფულის სასახლეში“

პარიზში გუშინ იუნესკოს გენერალური კონფერენციის 34-ე სესია გაიხსნა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს დელეგაცია, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი და იუნესკოს საქართველოს ეროვნული კომისიის პრეზიდენტი გელა ბეჟუაშვილი ხელმძღვანელობს.

გენერალური კონფერენცია ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება და მასში ყველა წევრი სახელმწიფო მონაწილეობს.

გენერალური კონფერენციის 34-ე სესიის დღის წესრიგშია — 2007-2008 წლების ბიუჯეტისა და პროგრამის დამტკიცება, აგრეთვე, არჩევნები აღმასრულებელ საბჭოსა და იუნესკოს სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში.

19 ოქტომბერს გელა ბეჟუაშვილი გენერალური კონფერენციის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლას გეგმავს. იგი მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკურ დებატებში. ქართული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხს დააყენებს.

იმავე დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელით, პარიზის „ფულის სასახლეში“ გაიმართება მიღება, სადაც ქართული არქეოლოგიური გამოფენა „ოქროს საწმისის ოქრო, საგანძური საქართველოდან“ იქნება წარმოდგენილი.

### ნავთობის ტრანსპორტირება შემცირდა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირება სექტემბერში მნიშვნელოვნად შემცირდა და, დაახლოებით, 1,2 მლნ ტონა შეადგინა. ეს ფაქტი ნავთობსადენის რამდენიმედღიან გაჩერებას უკავშირდება.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, აგვისტოში ეს მაჩვენებელი 2,8 მლნ ტონამდე იყო, ივლისში — 2,9 მლნ ტონა, ივნისში — 2,5 მლნ ტონა.

ამასთან, წლის დასაწყისიდან ნავთობის ტრანსპორტირების მაჩვენებელი ყოველთვიურად იზრდებოდა. იანვარში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით 1,6 მლნ ტონა ნავთობი გადაიზიდა, თებერვალში — 2,0 მლნ ტონა, მარტსა და აპრილში — 2,2 მლნ ტონა, მაისში — 2,8 მლნ ტონა.

შესაბამისად, სექტემბერში წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიის გავლით ყველაზე ცოტა ნავთობის ტრანზიტი განხორციელდა.

ინტერპრესნიუსი

**● გადაწყვეტილი გვაქვს, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ჩვენი ფიჭური მომსახურება აგრეთვე შევთავაზოთ სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანისა და ლაგოდეხის მოსახლეობას, — განაცხადა ბატონმა გორდეევმა**

**◎ კავშირგაბმულობა**

# „მესამე მოთამაშის“ კახური შემოდგომა

**XXI საუკუნე „ინფორმაციის საუკუნედ“ ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინათ სავსებით სამართლიანად მონათლეს. ამის დასტური, პირველ ყოვლისა, ინტერნეტის მსოფლიო ქსელისა და მობილური კავშირგაბმულობის უსწრაფესი ტემპით განვითარებაა. ადამიანთა შორის კავშირის დამყარების, ინფორმაციის გაცვლის, ცოდნის მიღების მხრივ მათ ამჟამად ბადალი არ ჰყავთ.**

საქართველოში ფიჭური კავშირგაბმულობის სფეროში ბოლო დროს მეტად საგულისხმო მოვლენა მოხდა — როგორც მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, მიმდინარე წლის მაისიდან ამ მომსახურების ბაზარზე მანამდე მონოპოლისტი „მაგთიკომისა“ და „ჯეოსელის“ გვერდით გამოჩნდა კომპანია „ბილაინი“, უფრო სწორად კი კომპანია „ვიმპელკომის“ შვილეული კომპანია „მობიტელი“, რომელიც „ბილაინის“ სავაჭრო ნიშანს იყენებს.

კომპანიაში აცხადებენ, რომ საქართველოში პრაქტიკული მუშაობის დაწყებამდე მათ საგულდაგულოდ შეისწავლეს ადგილობრივი ბაზარი და მისი პოტენციალი, რამაც კარგი შედეგი მოუტანა — ნახევარი წლის მოღვაწეობის მონაცემები ამას სავსებით ადასტურებს.

გასულ კვირამდე საქართველოში კომპანია „მობიტელის“ დაფარვის ზონა, ძირითადად, თბილისი და მისი შემოგარენის რამდენიმე დასახლებული პუნქტი, კერძოდ, წყნეთი, კოჯორი, კიკეთი, თელეთი, მცხეთა, აგრეთვე მარნეული იყო. ახლა მათ რიცხვს რიგით მეექვსე, ქალაქი თელავიც მიემატა, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, „ბილაინის“ გაყიდვებისა და აბონენტთა მომსახურების საქართველოში ამ კომპანიის რიგით მეცხრამეტე ოფისი გაიხსნა.

— დღეს თელაველთათვის მეტად მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ჩვენს მხარეში მოღვაწეობას იწყებს ფიჭური კავშირგაბმულობის ახალი სოლიდური კომპანია, — განაცხადა გასული კვირის მიწურულს თელავში საერთაშორისო კომპანია „ვიმპელკომის“ შვილეული კომპანიის შპს „მობიტელის“ ოფისის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე კახეთის ვიცე-გუბერნატორმა ზურაბ ბეჟანიშვილმა. — „მობიტელის“ შემოსვლა ეროვნულ ბაზარზე იმის წინაპირობაა, რომ ფიჭური კავშირგაბმულობის სფეროში კონკურენცია გაიზრდება, ეს კი, თავის მხრივ, ამ სახეობის მომსახურების ხარისხის გაზრდის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

— გამარჯობა, თელავო! — ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა „მობიტელის“ გენერალურმა დირექტორმა ოლეგ გორდეევმა. — მოხარულები ვართ, რომ ჩვენი გეგმებისდა შესაბამისად, კომპანია კახეთში, ქართული ღვინის სახელგანთქმული კუთხის დედაქალაქშიც მოვიდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ფიჭური კავშირგაბმულობის სფერო მეტად მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს, უგუგება ძალიან დიდია.

ასევე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კომპანიის მოღვაწეობის ფართო მასშტაბით გასაშლელად კახეთი ძალიან მადლიანი მხარეა, ამიტომაც გადაწყვეტილი გვაქვს, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ჩვენი ფიჭური მომსახურება აგრეთვე შევთავაზოთ სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანისა და ლაგოდეხის მოსახლეობას, — განაცხადა ბატონმა გორდეევმა.

მისი თქმით, მსხვილმასშტაბიანი რეგიონული პოლიტიკის გატარება საქართველოს მარნად წოდებული კახეთიდან დაწყება იმან განაპირობა, რომ ეს ულამაზესი მხარე ბიზნესის წარმოების მხრივ დიდი პოტენციალის მქონეა. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ 2007 წლის დამლევამდე კომპანია მობილური კავშირით დაფარვის არეალს კიდევ უფრო მეტად გააფართოვებს — ახალი წლის დადგომამდე „მობიტელის“ მომსახურებით სარგებლობის საშუალება საქართველოს კიდევ სამი მხარის აბონენტებს შეეძლებათ, თუმცა კონკრეტულად მათი დასახელებისგან ბატონმა გორდეევმა თავი შეიკავა და ეს ცნობა როგორც მოსახლეობას, ასევე ჟურნალისტებს „სიურპრიზად შემოგვინახა“.

საზეიმო ცერემონიის დასასრულს სახელდახელო წვეულება გაიმართა, მანამდე კი გენერალურმა დირექტორმა „მობიტელის“ თელაველ საპატიო აბონენტებს — ვიცე-გუბერნატორ ზურაბ ბეჟაშვილსა და პოპულარულ მომღერალს ზაზა ზაქარიაძეს (პაპას, როგორც მას თელაველები ეძახიანძ ქსელში ჩართული ტელეფონები გადასცა საჩუქრად.

„ბილაინი“ დინამიურად განვითარებადი კომპანიაა, რომელსაც საკმაოდ ამბიციური მიზნები აქვს. თელავში გაყიდვისა და აბონენტთა მომსახურების ოფისის გახსნასთან ერთად მან მოსახლეობას სპეციალური აქციაც შესთავაზა — პირველი ათასი აბონენტი, რომელიც „მობიტელის“ ქსელში ჩაერთვება, საჩუქრად 50 SMS-ს მიიღებს. ასევე „მობიტელი“ თელაველებს სთავაზობს სამი სატარიფო გეგმით სარგებლობას. კერძოდ, სატარიფო გეგმა „მეგობრები“ მათზეა გათვლილი, ვინც ბევრს საუბრობს სხვა მობილური ოპერატორების აბონენტებთან. ერთი წუთის ფასია 15 (და არა 27ძ თეთრი. ტარიფი „მეგობრები“ უნიკალური შეთავაზებაა საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზაზე.

სატარიფო გეგმა „მოიკითხე“ „ბილაინის“ აბონენტებს დსთ-ს ქვეყნებთან დაკავშირებას ადგილობრივი ზარის ფასად, 27 თეთრად აძლევს. ხოლო ტარიფი — „დროა ვილაპარაკოთ“ — განკუთვნილია მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს ნებისმიერ ოპერატორზე განხორციელებული ზარების ერთიანი და დაბალი ღირებულება. ამ სატარიფო შეთავაზებით მოსარგებლეთათვის ერთი წუთის ღირებულება 21 თეთრია.

აბონენტებს თავად შეუძლიათ მათთვის სასურველი სატარიფო გეგმის არჩევა და, სურვილის შემთხვევაში, ერთიდან მეორეზე გადასვლა.

**აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო გარემოება: ჩვენში ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე „ბილაინის“ გამოჩენამ, მომხმარებელთათვის რამდენიმე საგრძნობლად შეღავათიანი მომსახურების სატარიფო გეგმის შეთავაზებით, საგრძნობლად გამოაცოცხლა მანამდე საკმაოდ მშვიდად „მთვლემარე“ „მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“, რომლებიც ამჯერად ნამდვილად „გამოფხიზლებულნი“ არიან და ცდილობენ მომხმარებელთათვის შეღავათიანი შეთავაზებით კონკურენტს არ ჩამორჩნენ, რაც, ცხადია, მობილურ კავშირგაბმულობას უფრო იაფს და, შესაბამისად, უფრო მეტად ხელმისაწვდომს ხდის.**

— ჩვენი უწინარესი საზრუნავია მომხმარებლის ხარისხიანი მომსახურება, ამიტომ მიმაჩნია, რომ ჯანსაღი კონკურენცია ამის პირველი ხელშემწყობი გარემოებაა, — თქვა გამართულ პრესკონფერენციაზე „მობიტელის“ გენერალურმა დირექტორმა ოლეგ გორდეევმა. — მიმაჩნია, რომ ქვეყნის ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზაზე „მაგთიკომისა“ და „ჯეოსელის“ გვერდით თავისუფლად არის მესამე „მოთამაშის“ ადგილიც, ამიტომ ინტენსიურად ვშლით ჩვენს ქსელს კახეთში და ეს მხოლოდ დასაწყისია. მეტად მნიშვნელოვანია რეგიონებში მომსახურე პერსონალის მომზადება ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად, რასაც წარმატებით ვართმევთ თავს, ეს კი, თავისთავად, ერთ მუშტად შეკრული თანამოაზრეთა გუნდის შეთანხმებულ მოქმედებასთან ერთად მომავალი მიღწევების საწინდრად მიგვაჩნია.

**ოთარ ტურაბელიძე**

**◎ რეალობა კი ასეთია...**

# ხუთი მითი „ძველ,

*ის, ვინც გლობალურ ეკონომიკაში დღეს მოგებას ხედავს, ხვალ შეიძლება მოტყუებული დარჩეს და პირიქით. სულ ახლახან იყო, ამერიკელი მეცნიერები და ანალიტიკოს-ეკონომისტები „ძველ და ავადმყოფ“ ევროპასთან შედარებით ამერიკის ეკონომიკურ უპირატესობაზე ცხვირაწევით რომ გაჰყვიროდნენ. მაგრამ რამდენიმე თვეში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. დღეს, როდესაც ერაყში ომის, იპოთეკური კრიზისის, უზარმაზარი სავაჭრო და საბიუჯეტო დეფიციტისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შემცირების გამო საფონდო ბაზარი „ჭრაჭუნს“ იწყებს, ანალიტიკოსები ჩინეთისა და ინდოეთის „წინ გაჭრილ“ ეკონომიკებზე ალაპარაკდნენ: გლობალურ ჰორიზონტზე ისინი მხოლოდ ზრდის ამ ორ ნათელ წერტილს ხედავენ.*

*მაგრამ ევროპას რა დაემართა? შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ ატლანტიკით დაშორებული ამერიკის პარტნიორი დღეს წარმატებით უმკლავდება შექმნილ სირთულეებს და ევროპესიმისტების გავრცელებულ მითებს აქარწყლებს. აი, ეს მითებიც.*

**მითი პირველი: მსოფლიო რომ გაიყოლიოს, საამისოდ ევროპის ეკონომიკა მეტისმეტად სუსტი და სკლეროზიანია.**

თუ ვინმეს სკლეროზი ჭირს, ეს ნამდვილად არ არის ევროკავშირის ეკონომიკა, რომლის მოცულობა 16 ტრილიონი დოლარია, იგი უკვე რამდენიმე წელია ზედმეტი ხმაურის გარეშე წარმატებით ვითარდება და მსოფლიოს სავაჭრო ბლოკის უმსხვილესი პარტნიორი გახდა: მის წილად მთელი გლობალური ეკონომიკის მესამედი მოდის! ეს გაცილებით მეტია, ვინემ აშშ-ს წილი (27 პროცენტიძ ან იაპონიისა (9 პროცენტიძ. ჩინეთი თავისი 6 პროცენტით, რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ევროპასთან შედარებით ეკონომიკური ჯუჯაა! ინდოეთზე მორცხვად გავჩუმდებით.

კაცმა რომ თქვას, ევროპის ეკონომიკა არასდროს არ ყოფილა ისე სუსტი, ევროპესიმისტებს რომ მიაჩნდათ. 2000—2005 წლებში ამერიკული ეკონომიკის წარმატებები, რომლის შესახებ ამერიკელებს ასე უყვართ ტრაბახი, ძირითადად განპირობებული იყო მსუბუქი კრედიტებით და საბინაო ბაზრის სპეკულანტური ზრდით. ამ დროს ევროკავშირის პირველ 15 წევრ სახელმწიფოში ეკონომიკის ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე ისეთივე იყო, როგორც აშშ-ში, 2006 წლის ბოლოს კი აშშ-ს გაუსწრეს კიდეც. ევროპაში უფრო სწრაფად იზრდებოდა სამუშაო ადგილები და საბიუჯეტო დეფიციტიც უფრო ნაკლები იყო აშშ-სთან შედარებით. დღეს ევროპას შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება და საგარეო-სავაჭრო ბალანსის სამილიარდიანი დადებითი სალდო აქვს.



**მითი მეორე: საწარმოთა დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო ევროპის ეკონომიკაში არავის არ უნდა ინვესტიციების ჩადება.**

კვლავ სიცრუე: 2000—2005 წლებში ევროკავშირის პირველ 15 წევრ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მსოფლიოს თითქმის ნახევარი შეადგინა, ხოლო დაბანდების უკუგებით ევროპამ აშშ-ს გაუსწრო.

„ძველი ევროპა“ ნამდვილი მაგნიტია, რადგან იგი მსოფლიოს ყველაზე მიმზიდველი ბაზარია, ამტკიცებენ ინვესტორები.

ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი თვით აშშ-ია: ევროკავშირის 15 კომპანიამ, რომლებიც აშშ-ის კომპანიებთან არიან აფელირებული, 2005 წელს 85 მილიარდი დოლარის მოგება უჩვენეს, რაც მთელ მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და 26-ჯერ მეტია ჩინეთთან შედარებით (3,3 მილიარდიძ. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, ეროვნული კომპანიების კონკურენტუნარიანობის რეიტინგით, პირველი ათეულის პირველი-ოთხი ადგილი და პირველი ოცეულის თორმეტი ადგილი ევროპულ ქვეყნებს უჭირავთ. აშშ მეექვსე ადგილზეა, ინდოეთი — 43—ზე, კონტინენტური ჩინეთი კი — 54-ზე.

**მითი მესამე: ევროპაში საშინელი უმუშევრობაა.**

მართლაც იყო ასეთი რამ, მაგრამ დღეს სულ სხვაა. ამ ახალ ათწლეულში ევროკავშირის ქვეყნების ნახევარში პრაქტიკულად სრული დასაქმებაა, რითაც ისინი აშშ-ს უსწრებენ. მთლიანად ევროკავშირში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნების ჩათვლით, უმუშევრობა დღეს ისტორიულ მინიმუმზეა — 6,7 პროცენტი. საფრანგეთშიც კი, სადაც უმუშევრობა 8 პროცენტია, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე იგი ყველაზე დაბალია.

ცხადია, ეს უფრო მაღალია, ვინემ აშშ-ში (4,6 პროცენტიძ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ აშშ-ში შექმნილი სამუშაო ადგილების უმეტესობა დაბალი ანაზღაურებისა და სოციალური კეთილდღეობისა და შეღავათების გარეშეა, მაშინ როდესაც ევროპაში უმუშევარს აქვს ჯანმრთელობის დაცვის და კვალიფიკაციის შეცვლის საშუალება, საკმაოდ მაღალი დახმარება, საბინაო სუბსიდია და სხვ. აშშ-ში კი სამუშაოს დაკარგვისას ადამიანმა შეიძლება არსებობის სახსარი დაკარგოს.

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

**სამწუხაროდ, რეგიონში „მოღვაწე“ მაღალჩინოსნები ჟურნალისტებს ხშირად ულირსი მეთოდებით უსწორდებიან, რომელზეც როგორც წესი, გუბერნატორი, წინამორბედის მსგავსად, საერთოდ არ რეაგირებს და „სირაქლემას პოზიციაში“ ყოფნას ამჯობინებს...“**



SIC!

# მართალი რად თქვით და რად დაწერეთო?!

## კახეთში მედიას მუდმივად ავიწროვებენ

(მეორე გვერდიდან)

თუმცა, როგორც გაირკვა, მწარედ ვცდებოდი. გუბერნატორის პრეს-მდივანმა მარი შაშვიაშვილმა მომიბოდიშა და განაცხადა, რომ რწმუნებული ინტერვიუს ვერ მომცემდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხარეო ადმინისტრაციის ოფიციალური პოზიციის მოსასმენად ხშირად ვუკავშირდებით პრეს-მდივან შაშვიაშვილს, თუმცა იგი ნორმალურ და ამომწურავ პასუხს თითქმის არასოდეს იძლევა.

იგივე ვითარებაა კახეთის ყველა რაიონულ გამგეობაშიც. რაიონის გამგებლები დამოუკიდებელ ჟურნალისტებთან კონტაქტს თავს მასობრივად არიდებენ. მათი პრეს-სამსახურებიც ტრადიციისამებრ ბოლო წლებში თითქმის უფუნქციოდ არიან დარჩენილი... არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, როცა რეგიონში მოქმედ რომელიმე პრეს-სამსახურს რაიმე სახის ინფორმაცია საკუთარი სურვილით მოეწოდებინოს, თუნდაც კახეთში რომელიმე მაღალჩინოსნის მოსალოდნელ ვიზიტებთან, ან რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. პარადოქსულია, რომ ისინი არც დადებითი მოვლენების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას. პირიქით, მაქსიმალურად ცდილობენ, დაგვიმალონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კახეთში სიტყვის თავისუფლება სულს ლაფავს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ გურჯაანში ხუთი რეგიონული და ორი რაიონული გაზეთი გამოიცემა თელავში კი არც ერთი... რეგიონის ხელისუფლება დამოუკიდებელი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს გააფთრებული რომ ებრძვის, ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ შარშან, ადგილობრივი ტელეკომპანია „თანამგზავრის“ საინფორმაციო პროგრამის ჟურნალისტი სამხარეო ადმინისტრაციის შენობის კიბეებზე დააგორეს და სკამი ესროლეს... სამწუხაროდ, რეგიონში „მოღვაწე“ მაღალჩინოსნები ჟურნალისტებს ხშირად ულირსი მეთოდებით უსწორდებიან, რომელზეც როგორც წესი, გუბერნატორი, წინამორბედის მსგავსად, საერთოდ არ რეაგირებს და „სირაქლემას პოზიციაში“ ყოფნას ამჯობინებს...“ — ამბობს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კახეთის სამხარეო კორესპონდენტი **ილია მარტყოფლიშვილი.**

საგულისხმოა, რომ კახელი მაღალჩინოსნების მიერ ინფორმაციის მასობრივ დაბლოკვაზე ღიად საუბრობენ ცენტრალური ტელეკომპანიების კახეთის სამხარეო კორესპონდენტებიც. ტელეკომპანია „მზის“ კახეთის ბიუროს ხელმძღვანელი **ხათუნა გულიაშვილი** გამუდმებით კახეთის მაღალჩინოსნების ჟურნალისტებთან ურთიერთობის კულტურის აშკარა დეფიციტზე საუბრობს და იმ ფაქტს იხსენებს, როგორ იწყევლებოდა დედოფლისწყაროს გამგებელი სოსო ხარიაშვილი, საკუთარ კაბინეტში, კომენტარის ასაღებად მისულ ჟურნალისტთა მისამართით...

> *მოედანზე ათასობით ადამიანი იყო, სააკაშვილის გამოსვლაც საკმაოდ ემოციური გახლდათ, მაგრამ პრეზიდენტისთვის ტაში თითქმის არავის დაუკრავს*

შეგახსენებთ, ახლახან კახეთში კიდევ ერთი გაუგონარი ფაქტი აღინუსხა. გურჯაანის გამგებელმა რამაზ ქერეჭაშვილმა კრიტიკული სიუჟეტის გადაცემისთვის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კახეთის მხარის კორესპონდენტ **თეა ალავერდაშვილს** საკუთარ კაბინეტში მობილური ტელეფონი ესროლა, რომელიც საბედნიეროდ კედელს მოხვდა. ასევე, რეგიონულ გაზეთ „იმედის“ რედაქტორის საცხოვრებელი ბინის აფეთქების მცდელობა გურჯაანში ორჯერ დაფიქსირდა. შეგახსენებთ, ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებიდან ადგილობრივ პოლიციას არც ერთი არ გამოუძიებია... ასევე გაუხსნელია რეგიონული გაზეთის რედაქტორის **გელა მთივლიშვილის** ცემის ფაქტი, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა ტვინის შერყევა და სხვადასხვა სახის სხეულის დაზიანებები მიიღო.

კახეთში მოქმედი ერთადერთი რადიოსადგურის „ჰერეთის“ (რომლის გადაცემებიც საინგილოს ტერიტორიასაც ფარავსძ დამფუძნებელს **რამაზ სამხარაძეს** ყოფილმა პარლამენტარმა ლაგოდეხის რაიონიდან, დავით კაპანაძემ რამდენიმე თვის წინათ, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მას ფიზიკური ლიკვიდაციით და რადიოსადგურის პარალიზებით დაემუქრნენ. სამხარაძეს სხეულის დაზიანებები აღენიშნებოდა. მასზე განხორციელებული თავდასხმა პირველი შემთხვევა არ გახლდათ. მსგავსი ფაქტები ყველაზე ხშირად კახეთის მხარეში აღინუსხება. „ჰერეთის“ თანამშრომლებზე სხვადასხვა სახის ზეწოლები ინტენსიურად ხორციელდება. რადიოსადგურმა თავისი არსებობის მანძილზე ზეწოლისა და გადამცემი აპარატურის ვანდალურად დაზიანების შემდეგ რამდენჯერმე დროებით შეწყვიტა მაუწყებლობა.

ყოფილი პარლამენტარის დავით კაპანაძის მიმართ ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ამ უკანასკნელმა ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა.

ლაგოდეხის რაიონულმა სასამართლომ დავით კაპანაძეს 8 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დააკისრა. გასაჩივრების მიუხედავად, კაპანაძეს ჟურნალისტის ცემისთვის 8 000 ლარის გადახდა მოუწევს.

**ილია კახეთელიძე**

რეალობა კი ასეთია...

# ავადმყოფ“ ევროპაზე

**მითი მეოთხე: ევროპული „საციალური სახელმწიფო“ ხელ-ფეხს უბოჭავს ბიზნესს და ზიანს აყენებს ეკონომიკას.**

გეშინოდეთ იდეოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენებული სტერეოტიპებისა. თავბრუდამხვევი განვითარების მიუხედავად ევროპის ეკონომიკა რჩება სამართლიანი და არ წარმოშობს უთანასწორობას. აშშ-სგან განსხვავებით, სადაც უთანასწორობა თვალში საცემია და, ამასთან, ადამიანებს არ აქვთ თანაბარი საშუალება შესაძლო ჯანმრთელობის დაცვასა და უმაღლეს განათლებაზე, ევროპელები საკუთარ ეკონომიკურ ლოკომოტივს გონივრულად მართავენ და მატერიალური კეთილდღეობის სამართლიან განაწილებას აღწევენ.

ევროპელებს მრავალ სფეროში შენარჩუნებული აქვთ სოციალური დაცვის საერთო სისტემა — აკვნიდან საფლავამდე. მათ აქვთ ხარისხიანი სამედიცინო დახმარება, უფასო ან პრაქტიკულად უფასო უმაღლესი განათლება, ანაზღაურებადი შვებულება ბავშვის მოვლისათვის და ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცელი, საბავშვო აღზრდის მისაწვდომი სისტემა, უხვი პენსიები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარისხიანი მომსახურება. უფრო მოკლე სამუშაო კვირასთან ერთად ევროპელს წელიწადში ხუთკვირიანი ანაზღაურებადი შვებულება აქვს (ამერიკელს — ორკვირიანიძ. აშშ-თან შედარებით ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ხალხი კვირაში ერთი სრული დღით ნაკლებს მუშაობს და ამასთან, ცხოვრების ისეთივე დონე აქვს.

ევროპა — ეს უფრო „სოციალური“ და არა „შრომითი“ სახელმწიფოა, ევროპულ საზოგადოებაში მოქმედი ინსტიტუტების კომპლექსურ სისტემას აქვს ერთი ამოცანა: ხალხი იყოს ჯანმრთელი და შრომისუნარიანი. ეს კი იგივეა, რაც სწორად აგებული „სოციალური კაპიტალიზმი“. ეკონომიკა აფინანსებს სოციალურ სფეროს, რათა დღეს, როდესაც გლობალური კაპიტალიზმი ყველას გვემუქრება, რათა საერთაშორისო-ურთიერთ შემცვლელ სამუშაო ძალად გვაქციოს, — შევინახოთ ოჯახი და ადამიანი. ევროპის ქვეყნების სოციალური სისტემა ევროპელებს მატერიალურ სიკეთეს კი არ უმცირებს, არამედ პირიქით, უდიდებს. კონტინენტის ყველაზე კონსერვატიული ლიდერებიც კი ამას სწორ გზად თვლიან.

**მითი მეხუთე: უახლოეს მომავალში ევროპა რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკულ მძევლად იქცევა.**

მარჩიელობა ყოველთვის სარისკო საქმე იყო. ამ საქმეში კატეგორიულობა გონივრული არაა. ევროპა კიდევ რამდენიმე ხანს იქნება რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ენერგოშემცველების მყიდველი, მაგრამ მსოფლიოში არავინ არ ცდილობს საკუთრი ენერგოდამოკიდებულების ისე მიზანდასახულად შემცირებას, როგორც ამას ევროპა აკეთებს.

2007 წლის 27 მარტს ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ 2020 წლისთვის საკუთარი ენერგიის 20 პროცენტს განახლებადი წყაროებიდან მიიღებენ და 20 პროცენტით შეამცირებენ ნახშირბადის გაზის გამონაბოლქვს. ეს მიდგომა ევროპის ლანდშაფტს დღეს უკვე ეტყობა. გაჩნდა მაღალტექნოლოგიური ქარისა და მზის, აგრეთვე ზღვის მიმოქცევის მსხვილი ელექტროსადგურები, წყალბადის სათბობი ელემენტები და „მწვანე“ ენერგოშემნახავი შენობები. ამასთან, ამ თვალსაზრისით ევროპა არა მარტო „მაღალი“, არამედ „დაბალი“ ტექნოლოგიების მიმართულებითაც წავიდა, ჰქმნის რა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მასობრივ სისტემებს, ათასობით კილომეტრი გზა გაჰყავს ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეთათვის...

ასე რომ, კმარა ამერიკელების „კვება“ ძველი და ავადმყოფი ევროპის ზღაპრებით.

Стивен Хилл „The Washington Post“, ИноСми.ru 07.10.-2007.

**მოამზადა და კომენტარი დაურთო**
**ამირან გაბისონიამ**

***P. S.* *გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ ბატონ ჰილის ეს წერილი, რომლის რუსული თარგმანი 2007 წლის 7 ოქტომბერს განთავსდა ინტერნეტის რუსულ საიტზე, კაცს მოსკოვში ნაფიქრალი და დაწერილი გეგონება (მოსკოვში დაწერილი მსგავსი მასალები არც ისე იშვიათად ქვეყნდება საქართველოს მასმედიაშიცძ. ევროპასა და აშშ-ს შორის ვითომ კაპიტალიზმის „უმწვავესი“ კონკურენტული ურთიერთობების აღნიშვნით და ევროპის „დამცველი ადვოკატის“ შესრულებით, წერილი მსოფლიოში აშშ-ს ადგილისა და მისი სოციალურ — ეკონომიკური სისტემის უარყოფითი მხარეების წინ წამოწევასა და ქვეყნის იმიჯის დაკნინებას ისახავს მიზნად. ყველაფერი ეს შესრულებულია მეტისმეტად მარტივად და ღიად.***

***„ბებერი კონტინენტი“, „ბებერი ევროპა“ — საერთოდ გავრცელებული გამოთქმაა და იგი სიყვარულსა და მოფერებას უფრო გულისხმობს, ვინემ მისი ერების დაბერებას ან მათი სოციალურ-ეკონომიკური წყობის მოშლა-დაუძლურებას. პირიქით, ევროპა — კაცობრიობის კულტურისა და დემოკრატიის აკვანი, — მსოფლიოში დღესაც, კაპიტალისტური წყობის პირობებშიც, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და სოციალური ყოფის ნიმუშია. ეს სწორედ ევროპის „სიბერის“ (გონიერებისძ შედეგი გახლავთ.***

***რაც შეეხება 220 წლის აშშ-ს, რომლის მოსახლეობა მსოფლიოს ყველა რასისა და ეროვნების ნაზავია, მისი ზეძლიერების საიდუმლოება მხოლოდ ღია დემოკრატიასა და აშკარად გამოკვეთილ ხისტ საბაზრო ურთიერთობაში უნდა ვეძებოთ. ისტორიული განვითარების ბუნებრივ მოდელთან მაქსიმალურად მიახლოებული ეს ზესახელმწიფო ამიტომ ასრულებს დღეს „მსოფლიო მმართველის“ როლს. როგორც იტყვიან, „ძალიც შესწევს ძადილისა“.***

***ასეთ პირობებში „ბებერი ევროპის“ ადვოკატად დადგომა და აშშ-ს დაკნინება უადგილოა, რადგან...***

***...რადგან ყველა იმპერია, ჩვენი მეზობელი იქნება ის თუ შორებელი, დიქტატურის აღზევებისა და დემოკრატიისგან განდგომის გამო, ადრე თუ გვიან, დაიშლება! ამას ისტორია გვასწავლის.***

***ბატონი ჰილის წერილი კი, სადაც არ უნდა იყოს ის დაწერილი, მაინც მასმედიის თავისუფლებისა და დემოკრატიის ნიმუშია.***

**ა. გ.**

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

# ცხოვრება

● **ძალაუნებურად გვახსენდება ილფისა და პეტროვის „დიდი კომბინატორი“ და მისი „შეგონება“, რომ სისუფთავე იქ კი არ არის, სადაც ხშირად ჰგვიან, არამედ იქ, სადაც არ ანაგვიანებენ**



ტელეკომპანია „რიონისა“ და რადიო „ძველი ქალაქის“ კორესპონდენტებმა ბევრი შეკითხვა მისცეს მასპინძელს – ფოთწყალკანალის დირექტორს ვლადიმერ მსხვილიძეს

## ◎ საქალაქო მეურნეობა

# ასე, კვლავ ასე შეუტიე, „ასა“!

**ავტორიტეტი იოლად არ იქმნება. ამის გარანტი მხოლოდ კომპეტენტურობა, მიზნის მიღწევისათვის თანამიმდევრული ბრძოლა და ის სუფთა ხელებია, რაც მედროვეთა და არაპროფესიონალთა ალზევების პერიოდში განსაკუთრებითაა დასაფასებელი.**

როდესაც რამდენიმე დღით ადრე თითქოს პირწმინდად გაწმენდილ და შტატების შემცირების გამო თითქმის უკვე განახევრებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ერთად აპატიმრებენ 24 ხელმძღვანელ მუშაკს და სხდომათა დარბაზში ზარ-ზეიმით მისულებს ქუთაისის ახალაგებულ ციხეში ხელბორკილდადებულებს მიერეკებიან, არ უნდა გიკვირდეს ის მტკივნეული პრობლემები, რომელსაც დღემდე უსულგულოდ მიტოვებულმა და უფუნქციოდ დარჩენილმა ქალაქმა ვერა და ვერ დააღწია თავი.

რატომ ვუსვამთ ამას ხაზს?

ქუთაისში არსებობს ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია – იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“, რომელმაც 2004 წლიდან ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით დაიწყო განხორციელება პროექტისა „სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და კომუნალურ მეურნეობაში“ და სიღრმისეულად ისეთი მტკივნეული საკითხები შეისწავლა, რომ თუ ამ ასოციაციის რეკომენდაციებს გაითვალისწინებდნენ, უამრავ სამარცხვინო შეცდომასა და მოსალოდნელ დანაშაულს აიცილებდნენ ქუთაისის ყოფილი და დღევანდელი თავკაცები.

ასოციაციას თავმჯდომარეობს დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ძირძველი ქუთაისელი, ინჟინერი ზაზა ხელაძე.

თუ არა ძირძველი ქუთაისელობა და ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი, ვერავინ დამარწმუნებს, რომ მიხვდება, რა მნიშვნელობა აქვს 1929 წელს ტოპოგრაფ ევგენი ბარამიძის მიერ შედგენილ ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციულ რუკას, რომელიც 1000 ეგზემპლარად ყოფილა დაბეჭდილი, მაგრამ დღეისათვის ამ ოფისის გარდა ფაქტობრივად ვერსად ნახავ. არადა, მრავალმხრივ არის საინტერესო. ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ტოპონიმიკის თვალსაზრისით.

* * *

„ასას“ მუშაობასა და მისი სტილის ზოგიერთ საინტერესო შტრიხს ჯერ კიდევ იმ პერიოდში გავეცანი, როცა კომუნალური მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის – ელექტროენერგეტიკის მდგომარეობის შესწავლა დაიწყო და ბოლომდე ამხილა ის დანაშაულებრივი ხელშეკრულება, რომელსაც 2003 წლის 8 მაისს მოაწერეს ხელი საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ და „ფი ეი გოვერნმენტ სერვის ინკმა,“ რაც 2004 წლის მეორე ნახევრამდე სრულიად გასაიდუმლოებული იყო.

ამ უმსგავსობის მხილებით, ისევე, როგორც კაბალურ ჯგუფურ ხელშეკრულებათა გაფორმების, უაზრო ქსელების მოწყობის, ინდივიდუალური მოხმარების ელექტროენერგიაზე სამეზობლო პასუხისმგებლობის დაწესების, სადისტრიბუციო ქსელის უპატრონობისა და ელექტროენერგიის საფასურის ზევით საკმაოდ მოზრდილი თანხის დამატებით გადახდის დანაშაულებრივ ხასიათზე დასაბუთებული აქცენტირებით, „ასას“ ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა. მით უფრო, რომ ასოციაციამ სამართლებრივი დახმარებაც ბევრს გაუწია..

ქუთაისის საკრებულო უკვე დიდი ხანია ცდილობს, რომ ენერგეტიკოსთა მუშაობა და განვითარების მათეული პროგრამა გამჭვირვალე გახდეს, ამაში კი თვალსაჩინოა ასოციაციის რეკომენდაციათა როლი, რაც საკითხის სიღრმისეულ შესწავლასა და საზოგადოების ყველა ფენის გამოკითხვის შედეგთა შეჯერებას ემყარება. ამან გადამაწყვეტინა, პირადი მონაწილეობა მიმეღო „ასას“ მიერ განხორციელებული ზემოხსენებული პროექტის იმ მორიგ პრობლემათა კვლევაში, რომლებიც წყალმომარაგებისა და მყარი ნარჩენების მართვის საკითხებს ეძღვნება.

* * *

საკვლევი პრობლემების აქტუალობის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ სასმელი წყალი ქუთაისის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ორ დღეში ერთხელ და თანაც მხოლოდ რამდენიმე საათით მიეწოდება. რაც შეეხება ნაგავსა და, საერთოდ, მყარ ნარჩენებს, ამ მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა.

ვისაც გაუვლია უძველეს უბნებში – გნებავთ საფიჩხიაზე, გნებავთ „დინამოს“ სტადიონთან, – შეძრწუნდებოდა იქ გამეფებული ანტისანიტარიით.

ქუთაისში ოდითგან დასვენების უმშვენიერესი კერა იყო ეგრეთ წოდებული ხარაზოვის ბაღი, მაგრამ დღეს მოუვლელობითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ისეთ მდგომარეობაშია, რომ შესვლა ჯანმრთელობისათვის ძალზე საშიშია.

უარესი მდგომარეობაა რკინიგზის სადგურ ქუთაის-პირველში.

დღის რომელ მონაკვეთშიც უნდა ეწვიო, აუცილებლად ნახავ, რომ ლიანდაგებში ცხვრის დიდი ფარაა შერეკილი და იმ ბალახს ძოვს, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე ალპურ ზონაში.

შემთხვევით არც ამ არანორმალურ მდგომარეობაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ქუთაისს მწირი დაფინანსება აქვს, მაგრამ თანამდებობებზე ხელმძღვანელ მუშაკებად მოძრავლებულ არაპროფესიონალთა და მედროვეთა გამო ეს მცირე თანხაც აუთვისებელი რჩება. შარშან ქალაქს სწორედ ამ მიზეზით ჩამოეჭრა ტრანსფერი და ცენტრალურ ბიუჯეტს დაუბრუნდა ერთ მილიონს ალმატებული ლარი.

* * *

წყალმომარაგებისა და მყარი ნარჩენების მართვის პრობლემათა ღრმად შესწავლის მიზნით ასოციაციამ მოაწყო მოსახლეობის გამოკითხვა, კონფერენციები და სიმპოზიუმები; სათავეში ჩაუდგა ქუთაისელთა იმ თაოსნობებს, რომელთა მიზანი იყო უნებართვო ნაგავსაყრელების გაუქმება, ქალაქში წყლის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირება და მრავალი სხვა სიკეთე. მაგრამ მდგომარეობა მაინც უმძიმესია, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები ნაუცბათევი, სათანადოდ დაუსაბუთებელი და ამიტომ არაეფექტიანი გამოდგა. ეს გარემოება კიდევ უფრო გაამძაფრა ხელისუფლების ხშირმა ცვლამ და ბიუროკრატიზმმა. ახალგაზრდულმა ასოციაციამ ამიტომ გადაწყვიტა მეზობელთა მუშაობის გაცნობა და ამ მიზნით სამეგრელოს ეწვია.

ის სისუფთავე, რაც ქვეყნის ამ ულამაზესი კუთხის ცენტრალურ მაგისტრალებსა და მათ მომიჯნავე ტერიტორიებზეა, მკვეთრი კონტრასტია ცხენისწყლის ხიდსაქეთა მეზობლებთან, თანაც არა მარტო იმერეთთან, არამედ მთელ საქართველოსთან შედარებით.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ წყალმომარაგების პროექტის ხორცშესხმა ფოთმა ქუთაისთან ერთად დაიწყო, მაგრამ მუშაობა იქ უფრო მიზანსწრაფული და შედეგიანია. არადა, როგორც სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, ქუთაისში ამ საქმის დაჩქარება ქვეყნისათვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა. თავად განსაჯეთ: ფოთის წყალმომარაგებას წელიწადში დაახლოებით ერთ მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია ესაჭიროება, ქუთაისისას კი 60-70-ჯერ მეტი – 60-65 მილიონი კილოვატსაათი.

* * *

გამოცდილების გაზიარების მიზნით სამეგრელოში პროექტის ავტორებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე ბიზნესის წარმომადგენლებსა და რამდენიმე ჟურნალისტთან ერთად „ასას“ მეც ვახლდი.

არ შეიძლება, მნახველი არ მოხიბლოს იმ სილამაზემ, რომელიც თითოეულ სახლთან და მის შემოგარენთან იგრძნობა. საგულდაგულოდ არის მოვლილი და დასუფთავებული ყველა ეზო და მისი მომიჯნავე ტერიტორია. სუფთაა რკინიგზის ლიანდაგებიც. თითქმის ვერსად დაინახავ ვერც პაპიროსის კოლოფს, ვერც ცელოფანის პარკებს და ვერც გადაყრილ ბოთლებს, რითაც ფაქტობრივად მთელი საქართველოა დაბინძურებული.

ქუთაისის მსგავსად ადგილობრივი თვითმართველობის ხარჯებით სისტემატურად ფოთშიც მხოლოდ ცენტრი სუფთავდება. დანარჩენი ქუჩებიდან ნარჩენების გატანა ფოთშიც შემთხვევიდან შემთხვევამდე, თანაც მოსახლეობის აქტიური ჩარევითა და დიდი ძალისხმევის შედეგად ხდება. მით უფრო, რომ ქალაქში სულ ოთხი ნაგავგამტანი მანქანა მუშაობს. ეს რამდენჯერმე ნაკლებია, ვიდრე ქუთაისში. მაგრამ საქმეს აქ შედარებით აიოლებს ის, რომ ამჟამად ლითონისა და პლასტმასის ცეცხლგამძლე სანაგვე ყუთებს იყენებენ. ზომით ისინი დიდებია, ფაქტობრივად ისეთი, როგორიც თბილისში.

მცირე ზომის ყუთებზე, როგორებიც ქუთაისშია, აქ იმიტომ თქვეს უარი, რომ იწვება, დნება, მცირე მოცულობის გამო მსუბუქია, ცხოველები იოლად აყირავებენ და ამით ქუჩა ნაგვიანდება.

სანიმუშოდ დასუფთავებულ ცენტრთან ერთად წუნს ვერც ქალაქის მეორეხარისხოვან ქუჩებს დასდებ. ამ მხრივ ქუთაისთან შედარებით ძალზე მკვეთრი განსხვავებაა.

რატომ?

ძალაუნებურად გვახსენდება ილფისა და პეტროვის „დიდი კომბინატორი“ და მისი „შეგონება“, რომ სისუფთავე იქ კი არ არის, სადაც ხშირად ჰგვიან, არამედ იქ, სადაც არ ანაგვიანებენ.

* * *

ფოთში კომუნალური მეურნეობის წარმომადგენლებთან შეხვედრა არასამთავრობო, დამოუკიდებელი გაზეთის „თავისუფალი სიტყვის“ მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ელისო ჯანაშიამ მოგვიწყო.

როგორც მთელს საქართველოში ძალზე ბევრ მართლის მთქმელს, მით უფრო ჟურნალისტს, ფოთშიც მტერი და ავის მოსურნე ამ გაზეთსა და მის თანამშრომლებს ბევრი ჰყავდათ და დღესაც ბევრი ჰყავთ. დევნიან. არა მარტო რედაქციის კუთვნილი, არამედ თანამშრომლისათვის ნაქირავები ბინიდანაც კი აიძულებენ წასვლას. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, რედაქტორსაც და მის კოლეგებსაც დიდი ავტორიტეტი დაუმსახურებიათ. ამაში ფოთის საკრებულოსა და წყალკანალის წარმომადგენლებთან შეხვედრამ თვალნათლივ დაგვარწმუნა.

იხ. 12 გვ.

## ◎ ინფორმაცია

### პრეზიდენტის რეიტინგი დაეცა

**„მემარჯვენე ოპოზიცია“ – საქართველოს პრეზიდენტის სუბსიდირების პროგრამას „ნაციონალური მოძრაობის“, მიხეილ სააკაშვილის რეიტინგის მკვეთრ დაცემასა და მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ „მემარჯვენე“ მამუკა კაციტაძემ პრესკონფერენცია გამართა.**

**დეპუტატის განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს, ერთჯერადად გააუმჯობესოს მოსახლეობის მდგომარეობა იმ დროს, როდესაც მოსახლეობას უკვე დიდი ხანია უჭირს.**

**მისივე თქმით, ხელისუფლება უსაფუძვლოდ ცდილობს მოსახლეობის მოსყიდვას, საკუთარი თავის ამ გზით გადარჩენის მიზნით.**

**მამუკა კაციტაძე მიმართავს მოქალაქეებს, რომ მათ სამადლობელი არაფერი აქვთ, რადგან თანხა, რომელსაც ისინი პრეზიდენტის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში მიიღებენ, მოსახლეობისთვის 2004-2005 წლებში მოპარული ფულია და ახლა უკან უბრუნებენ.**

### ოპოზიცია პედაგოგებს შეხვდება

**გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭო 18 ოქტომბერს პედაგოგებთან შეხვედრას გეგმავს.**

**როგორც გაერთიანებული ოპოზიციის წევრმა, დეპუტატმა გია თორთლაძემ პარლამენტთან გამართულ დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა, შეხვედრა ჭადრაკის სასახლეში გაიმართება.**

**„ჩვენ გვსურს, მოვუსმინოთ საზოგადოების საუკეთესო ფენას – პედაგოგებს და მათ ჩვენი პრობლემებიც გავუზიაროთ. ამიტომ, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს შეხვედრისკენ მოვუწოდებთ“, – აღნიშნა თორთლაძემ.**

**კობა დავითაშვილმა კი იმ პედაგოგებს მიმართა, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ასაკობრივი ცენზის ან სხვა არაკანონიერი მიზეზით სამსახურებიდან დაითხოვეს.**

**– ჩვენ თქვენ გვჭირდებით. გვჭირდება თქვენი ინტელექტი, გამოცდილება და გვსურს, დაგაბრუნოთ იქ, სადაც თქვენს ცოდნას მომავალ თაობებს კვლავ გაუზიარებთ, – განაცხადა დავითაშვილმა.**

**ინტერპრესნიუსი**

● გამარჯობათ. ქართველი ხართო? კი, ვარ-მეთქი. მეო, საფრანგეთელი ქართველი ვარ, აქ, გაეროში ვმუშაობო. როგორ გამეხარდა. ამ ტრიბუნიდან პირველად გავიგონე ქართული სიტყვაო



## გულწრფელი წიგნი

ფრიდონ ხალვაში

დოკუმენტური მოთხრობა



სკანდინავური პროპელერებიანი, ძველებური თვითმფრინავი 12-საათიანი ფრენის შემდეგ, დილით, ნიუ-იორკთან დაეშვა. ამერიკის ჰავა, სუნი სულ სხვანაირი, უცხო, მდიდრული, მაგრამ ხელოვნური მეჩვენა. გასასვლელში ბარგი გახსნეს. ერთი კაკალი ვაშლი აღმოაჩინეს ჩანთაში. ღიმილიანმა მოხელემ ვაშლი გვერდით გადადო, — ვაშლი აქაც გვაქვსო (ხილის შეტანა არ შეიძლებოდა). ჯგუფში, ვატყობდი, ნახევარი კაგებეს აგენტები იყვნენ. ეს, ალბათ, ამერიკელებმაც მშვენივრად იცოდნენ.

ვიღაც გრძელფეხება, ახლაყუდა ბიჭები დაგვხვდნენ. თეთრპერანგჰალსტუხიანებიანი, ვიწროშარვლიანები, დიდცხვირა და სქელძირა შავფეხსაცმლიანები. იქ თეთრი უფრო თეთრი იყო, შავი — უფრო შავი. ჯერ კიდევ „ჰიპობის“ ნიშნები არ ჩანდა. პირიქით, დაბალზე მოჭრილი ქოჩრებით (ბოქსი) ამერიკელი ახალგაზრდა მამაკაცები გამოირჩეოდნენ. წვეროსნებს ჯერ იქ ვერსად დაინახავდი.

ოცდამეთერთმეტე ავენიუზე, სასტუმროში დაგვაბინავეს. ჯერ ისევ დერეფანში ვიდექით, ოთახებში განაწილებისას, სიაში ჩემი გვარის გვერდით რადგან „მწერალი“ ეწერა, გიდი, ჯეკი (მეორე ბიჭს ჯონი ერქვა. ორივენი, რუსული განხრით კოლუმბიის უნივერსიტეტდამთავრებულები იყვნენ) როყიოდ მეკითხება, — პასტერნაკის „დოქტორ ჟივაგო“ წაკითხული გაქვთო? ცოტა პროვოკაციულად მომეჩვენა იქ, უცებ, ასეთი შეკითხვა (იმხანად მთელი მსოფლიო პასტერნაკზე ლაპარაკობდა. ნობელის პრემია მისცეს, მაგრამ პრემიის მისაღებად მწერალი სტოკჰოლმში არ ჩავიდა, იცოდა, უკან, საბჭოეთში აღარ შემოუშვებდნენ). ჩემგან, როგორც საბჭოთა მწერლისაგან, ცხლად უნდოდა ჯეკის პასუხი. რატომაც არ მექნება წაკითხული, — უცბადვე ვუპასუხე. მაშინ გამოიჭრა ჯგუფიდან, გვარად ჯართაძე, თბილისელი, გუგებჩაშავებული, თავმოპარსული, ყურებდასქელებული (ალბათ, მოკრივე ან მოჭიდავე იყო), ჩადგა ჩვენს შუა და ჯეკთან თავად გააგრძელა საუბარი. პასტერნაკიო, — აუხსნა ამერიკელს, — თავისი საკუთარი სამშობლოს მაგინებელ-მლანძღველია. იგი ჩვენი ხალხის მოსისხლე მტერია. იგი გულიდან ამოიკვეთა საბჭოთა ხალხმა. მისი წიგნი, თუ რომანი (ზუსტად ასე უთხრა) ცუდია ძალიან და მავნეო.

— წაიკითხეთ? — ჰკითხა ჯეკიმ.

— არა, მაგრამ ვიცნობ.

— თუ არ წაგიკითხავთ, როგორ იცნობთო, — ჩაიცინა გიდმა და მიგვატოვა.

* * *

ჩვენი ჯგუფის წევრები სულ წყვილადგილიან ნომრებში შეასახლეს. შევშინდი ცოტა, როცა მე მარტო გამიშვეს. რუსი, გვარად კოჟემიაკინი (აშკარად ჩანდა, მოსკოველი კაგებეელი იყო), წინ გადამიდგა. ნომერში მარტო იქნებით! იცოდეთ, შესაძლოა რამე პროვოკაცია მოგიწყონ, ფრთხილად იყავითო.

ვუთხარი, ტოვარიშჩ ნაუმ, დავაიტე პომენიაემსია ნომერამი-მეთქი. ჯერ ვნახოთო, — დაუჯდა ჭკუაში. მაგრამ ჩემთან ღამით აღარავინ მოსულა. ასე რომ, მარტო დავრჩი. სქელი, შავყდიანი წიგნი იდო ტაბურეზე, ტელეფონებისა მეგონა. გადავშალე, „ბიბლია“ ვიცანი. ტელევიზორი ჩავრთე (ჩვენში ჯერ არ იყო). დავთვალე, — თორმეტ სხვადასხვა არხს იჭერდა. კოვბოურ კინოფილმს ვუყურე, მაგრამ სარეკლამო წყვეტილებმა გული ამირია (რა ამბავი რეკლამებია ახლა ჩვენში?! იქ, ორი წამით ჩართავდნენ და მაინც აუტანლად მეჩვენე).

დილით, საუზმის წინ, ჯეკი მკითხავს, რუსულად გამოცემული „დოქტორ ჟივაგო“ ხომ არ გინდათო. ეს კითხვა მარტო მე გავიგონე. კი, მინდა-მეთქი, კარგიო, ვეცდები ვიპოვო ხვალისთვისო. თავად მას ჩემზე მეტად აინტერესებდა, რომელიმე ჩვენთაგანისათვის პასტერნაკის წიგნი გადაეცა.

ვიფიქრე, თუ მოიტანს რატომაც არ ავიღო. ჩანს ტყვილად მომცემს და... (თუმცა ხელნაწერი 56-ში წაკითხული მქონდა).

ნიუ-იორკში თანამედროვე ხელოვნების და ნაციონალური მუზეუმები ვნახეთ, გავეცანით გაეროს შენობას. ცნობილ დარბაზში, სადაც გაერთიანებული ერების სესიები იმართება (კვირას ცარიელია), ტრიბუნაზე დავდექი და ქართულად, საკმაოდ ხმამაღლა — ხალხებო, ქვეყნებო, ადამიანებო... რაღაც ამგვარად წავიბუზუნე ქართულად. დარბაზის ერთ კუთხეში, რომელიღაც ქვეყნიდან ჩამოსულ ჯგუფს ქალი გამოეყო და, ვხედავ, ჩემკენ გამოემართა (მაშინ საბჭოეთი გამოკეტილი იყო და ჩვენებური კაცის ხმის გაგონებაც გაოგნებას იწვევდა). მომიახლოვდა საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდა ქალი. გამიღიმა, — გამარჯობათ. ქართველი ხართო? კი, ვარ-მეთქი. მეო, საფრანგეთელი ქართველი ვარ, აქ, გაეროში ვმუშაობო. როგორ გამეხარდა. ამ ტრიბუნიდან პირველად გავიგონე ქართული სიტყვაო, ვკითხე, მეც ვკითხე რამე-რუმეები და დამემშვიდობა.

ეს იყო და ეს.

ვაშინგტონში მატარებლით წაგვიყვანეს. იქაც, კვირადღეს, თეთრი სახლის ოვალური დარბაზი გვაჩვენეს. პენტაგონთანაც მიგვიყვანეს. საავიაციო რაკეტებიც გვაჩვენეს შენობის სახურავებზე. არლინგტონის სასაფლაოზე უცნობი ჯარისკაცის საფლავი ვნახეთ. საფლავების სისადავე თვალში საცემია. ჩვენი საფლავების პომპეზურობა გამახსენდა, მოტირალს რომ გაგაცინებს.

ჩიკაგოში ის ლაბორატორია ვნახეთ, სადაც პირველი ბირთვული რეაქცია ჩატარდა. სასტუმროში, ღამით ვიღაც ჩხარტიშვილმა დამირეკა (აი, თუ გამიგო კოჟემიაკინმა, — ვფიქრობდი). არ შეშინდეო, მითხრა, — ექიმი ვარ, ბათუმელი ვარო. უბრალოდ, თუ შეხვედრაზე დამთანხმდებით, ბედნიერი ვიქნებიო. ცოტა რამ საჩუქარს მოგართმევ. მეტი არაფერიო. დამამშვიდა. დილით რომელზე გადიხართო, ვუთხარი, — ათზე-მეთქი. გავედით კი ცხრაზე.

* * *

მატარებლით დეტროიტისაკენ მივდივართ. ჩვენები ვაგონრესტორანში სადილზე მიიწვიეს. ჩემოდანში ნარჩენკონიაკიანი ბოთლის ძებნამ ოდნავ ჩამომატოვა. როცა შევედი, რესტორანში ყველა მაგიდა დაკავებული იყო. განაპირად, ერთადერთ მაგიდასთან, მარტო ქალი ჩანდა. მეც იქით გავემართე. თავისუფალ სკამზე მოვეწყვე. ქალი, მაშინვე მეზობლით კმაყოფილი, შემეხმიანა. ჯეკი შორიდან მიხვდა ჩემს გაჭირვებას და წუთში ჩემს გვერდით გაჩნდა.

— თქვენ ასპანელი ხართო? — ქალი მეკითხება. ესპანელი არა ვარ-მეთქი, ვუთხარი ჯეკს, სადაურიც ვარ და ვინც ვარ ხმამაღლა გადაუთარგმნა. ამ დროს გვერდით სუფრიდან წამოდგა ერთი, ხმელ-ხმელი, წელში ოდნავ მოხრილი, ხორბლისფერი ბერიკაცი, მოგვიახლოვდა და ცარიელ სკამთან გაჩერდა. ჯეკი მითარგმნის: ეს კაცი კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ინჟინერია. ამ ოცდაათი წლის წინათ, უკრაინაში, დნეპროჰესის მშენებლობაში მონაწილეობდა. ერთ კვირადღეს, კიევში, რამდენიმე ამერიკელი სპეციალისტი, რესტორანში ვსადილობდითო. ვნახოთ, ოფიციანტს მთელი ყუთი ღვინო მოაქვს ჩვენთანო. გვეუბნება, — ქართველებმა საჩუქრად გამოგიგზავნეს. აი, იმ მაგიდიდანო. უარი ვთქვით, მაგრამ აგვიხსნეს, ქართველები უკან არ მიიღებენო. ახლაო, — გვიხსნის ჯენერალ-მოტორსელი, პირველად მომეცა სიცოცხლეში შემთხვევა, ქართველ კაცს შევხვდი და, ყოველი ჩვენგანის წინ თითო ნამცეცა ბოთლით ვისკები ჩამოარიგებინა. ინჟინერმა ჯიბიდან წყვილად ავტოკალამი ამოიღო და თავისი ხელით პირდაპირ პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ჩამიწყო, მშვიდობაზე და სიყვარულზე ამით ლექსი დაწერეო, — დამავალა.

* * *

დეტროიტში, ფორდის საწარმოში წაგვიყვანეს.

ავტოქარხნის ეზოში, იმ დღეს, ორმოცი ათასი მანქანა იდგა. ქარხნის მუშებისა. საოლქო გაზეთმა ამერიკის შთაბეჭდილებებზე ნარკვევის დაწერაც კი დამავალა. ამის მნახველმა ამერიკელი მუშის ყოფა რაფრა აღვწერო, ჩვენს საბჭოურ გაზეთს ამერიკული „სილატაკე“ სჭირდება. სად ვიპოვო? პარკში გავიარეთ, გრძელ სკამზე ზანგს ეძინა. მოვიმარჯვე „ზენიტი“. გადავიღე. „საბჭოთა აჭარამ“ სიამოვნებით დაბეჭდა.

ფორდის კომპანიის პრეზიდენტი იმ პირველი, ჰენრი ფორდის შვილიშვილი, ჰენრი ფორდია. გამყოლს ვკითხე. იქნებ გვაჩვენოთ მისი სამუშაო კაბინეტი. არაო, კაბინეტი არა აქვსო. ის ერთ ადგილზე ვერ დაჯდება. ის სულ საამქროებშია, საქმეშია, მოძრაობაშია. მისი ნახვაც ძნელიაო. გამიკვირდა. იმოდენა ფორდის კომპანიის პრეზიდენტს ქარხანაში კაბინეტი არ აქვს? წამით გამახსენდა ჩვენი ბათუმური ციცქნა ქარხანა-ფაბრიკები, მათი დირექტორების გრანდიოზული კაბინეტებით.

კაიხანს გვატარეს საამქროდან საამქროში. ბოლოს, ამკრებ საამქროში, ყოველ სამ წუთში კონვეიერიდან თითო მანქანა რომ ჩამოდიოდა, გავჩერდით. მოვიდა ჩვენი თანმხლები ფორდელი. იმ წუთას კონვეიერიდან ახალჩამოგორებული მანქანის ოთხივე კარი გაალო და ჩასხდომა გვთხოვა. პირველი მგზავრის პატივით გვცეს პატივი. მხიარულმა ბიჭმა ჩართო ძრავა და მანქანა გზაზე გასრიალდა. როცა დავბრუნდით, მძღოლს, მადლობის ნიშნად, ერთი საბჭოთა აბაზიანი ვაჩუქე. ამასობაში შესვენება დაიწყო, ჩვენ კი, მუშათა სასადილოში, სადილზე შეგვიპატიჟეს.

მაგიდას რომ მივუჯექი, უცებ ის, ავტომანქანის შოფერი-გამომცდელი მომადგა. ჯიბიდან დიდი ვერცხლის დოლარიანი ამოიღო და გადმომცა. ზედ „1918“ ჩანდა ამოტვიფრული. ჩემი მადლობის თქმისას, ისევ გადმოიხარა და თითი გაიშვირა. სადილის ასაღებად, მუშათა შორის მაღალ-მაღალი, საკმაოდ ახალგაზრდა კაცი მაჩვენა. აი, ჰენრი ფორდი! — ამიხსნა და წავიდა.

* * *

სასადილოდან ე.წ. ფორდის „ამერიკული ტექნიკის ისტორიის მუზეუმში“ წაგვიყვანეს.

**10.01.06**

დილით ნისლშია სოფელი.

დღეს ბაირამია. „ყურბანბაირამი“ (ყურბანი — საკლავის შეწირვაა). იყო ზეიმი, შეწირვაც, მაგრამ ჩემის ჩემად, ქართულად, დამლოცველი, ჩემი ენით ცოდვა-მადლის გამრჩევი, მამულ-დედულის მცველი, ერთგული რწმენა. ეს კი...

5 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ უკვე ვჩივი იმაზე, რაც აჭარას ახლა ჭირს. არა მგონია, საუბედუროდ, ბევრს წაეკითხოს იგი. თურქებს საყურბნე საკლავები შემოუყვანიათ „აჭარელთათვის“ ჩამოსარიგებლად. ბიჭებს (ბავშვებს) სუნათავენ (წინაცვეთა), ამაში ათ-ათ დოლარს ჩუქნიან.

ჩემი დაი, ფატყუმე, ოთხმოცდასამი წლისა, გობრონეთშია. ნაშუადღევს, დათო დავსვი „ნივაზე“ და გავემართეთ. ძროხა დაეკლათ საყურბნედ. ექვსი მოსახლის საზიაროდ. კასპავდნენ ხორცს. ცოტაც ტაფაზე მოხრაკეს. ზებურს ჩხავერი აქვს, მაგრამ ბაირამდღეს ღვინო არ გამოიტანა. დედის, ანუ ჩემი დის, მოერიდა.

მაღალი, წვეთივით შვეული, ხმელი, თუმცა ძვალხოშორა. სანდომიან სახეს თეთრი ქოჩორი და ასევე თეთრი ულვაში უმშვენებდა. ჩემი აქაური გაუხედაობითაც ვხვდებოდი, იმ შესახედაობის კაცის ნახვა იშვიათობა იქნებოდა.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-198.**

# უცხოური პრესა

„დღეიდან ლტოლვილთა ქონებრივი უფლება დაცულია გაეროს რეზოლუციით და გადამთიელები სოჭიდან, კრასნოდარიდან ასევე სხვა პირები, მათ შორის კრასნოდარის მხარის გუბერნატორიც, ვეღარ შეძლებენ საქართველოს მოქალაქეთა ქონების არალეგალურად შესყიდვას“, – განაცხადა სააკაშვილმა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სააკაშვილი გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციით კმაყოფილია

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კმაყოფილია საქართველოს შესახებ ახალი რეზოლუციით, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ. სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში იმ პუნქტების გამოჩენას, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და იძულებით ადგილნაცვალ პირებს უნდა დაუბრუნონ კუთვნილი ქონება.**

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში აქამდე მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ ლტოლვილები ეტაპობრივად უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში, ეს პროცესი უნდა დაიწყოს გალის რაიონიდან, მაგრამ იგი არ შეიცავდა პუნქტს იძულებით ადგილნაცვალ პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

„დღეიდან ლტოლვილთა ქონებრივი უფლება დაცულია გაეროს რეზოლუციით და გადამთიელები სოჭიდან, კრასნოდარიდან ასევე სხვა პირები, მათ შორის კრასნოდარის მხარის გუბერნატორიც, ვეღარ შეძლებენ საქართველოს მოქალაქეთა ქონების არალეგალურად შესყიდვას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, ლტოლვილთა ქონების უკანონო შესყიდვა ამიერიდან იქნება არა მარტო საქართველოს კანონმდებლობის, არამედ გაეროს რეზოლუციის დარღვევა, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტია.

სააკაშვილის აზრით, გაეროს მხრიდან გადადგმული შემდეგი ნაბიჯი უნდა გახდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტის აღიარება შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებით და საკითხის დასმა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც გაუწიეს ორგანიზება ქართველი მოსახლეობის განადგურებას.



„საქართველო აცხადებს, რომ კონფლიქტი უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს საქართველოს ხელისუფლება აღარ მოითხოვს აფხაზეთის დაბრუნებას ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში“, – დასძინა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ამჟამინდელ რეზოლუციაში, წინათ მიღებული დოკუმენტისგან განსხვავებით, არ არის პუნქტი ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში პატრიოტთა ახალგაზრდული ბანაკის დახურვის შესახებ. სააკაშვილის თქმით, ეს არის საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებული პრინციპული პოზიციის ერთ-ერთი შედეგი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მიიღეს 15 ოქტომბერს, საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს გაეროს მეთვალყურეთა მისიის მტკიცე მხარდაჭერას და მისი შესაძლებლობების გაფართოების აუცილებლობას, როგორც ამის შესახებ გამოთქვა რეკომენდაციები საქართველოს შესახებ გაკეთებულ თავის ბოლო მოხსენებაში გაეროს გენერალურმა მდივანმა. ამ დოკუმენტში პან გი მუნმა გამოთქვა წინადადება, რომ დაუწესდეს მეთვალყურეობა იმ ზონებს, რომლებიც ამჟამად არ შედიან გაეროს მისიის პასუხისმგებლობის ფარგლებში – რაიონებს, რომლებიც განლაგებულია კონფლიქტის ზონასა და კოდორის ხეობას შორის.

უშიშროების საბჭომ დაადასტურა ყველა ლტოლვილისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა აფხაზეთში დაბრუნების უფლების ფუძემდებლური მნიშვნელობა. უშიშროების საბჭომ სთხოვა გაეროს გენერალურ მდივანს შეუწყოს ხელი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ნდობის განმტკიცებას და ამ მიზნით უმაღლესი დონის შეხვედრის გამართვას.

გაეროს უშიშროების საბჭომ მოსთხოვა საქართველოს უზრუნველყოს რუს სამშვიდობოთა თავისუფალი გადაადგილება, ხაზი გაუსვა მათ მასტაბილიზებელ როლს. „აღვნიშნავთ, რომ ორივე მხარეს (ქართულ და აფხაზურძ უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისთვის, რომ უზრუნველყონ კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების, გაეროს მისიისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის, სათანადო უშიშროება და მათი თავისუფალი გადაადგილება“, – ხაზგასმულია დოკუმენტში. როგორც ცნობილია, რომ საქართველო მოითხოვდა კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას და მათ შეცვლას საერთაშორისო ძალებით.

„ჩვენ კმაყოფილი ვართ რ:ეზოლუციით, რომელმაც საქართველოს სერიოზული სიგნალი გაუგზავნა. იგი მთლიანად შეესაბამება იმ პოლიტიკურ ძალისხმევას, რომელსაც რუსეთი ახმარს მოლაპარაკების პროცესს“, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა.

რუსი დიპლომატის თქმით, უშიშროების საბჭომ რეზოლუციაში გაუსვა ხაზი ყველა იმ ძირითად საკითხს, რომლებიც წამოჭრა რუსეთმა – სამხედრო ძალის გამოუყენებლობისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ დოკუმენტების ხელმოწერა, საომარ მოქმედებაზე უარის თქმა, წინათ მიღწეული ყველა სამშვიდობო ხელშეკრულების შესრულება. რეზოლუციამ გაუსვა ხაზი რუსი სამშვიდობოებისა და რუსეთის, როგორც მოლაპარაკების პროცესის ხელშემწყობი მხარის მასტაბილიზირებელ როლს, მიაჩნია ჩურკინს.

**მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველო „ყურადღებით შეისწავლის დოკუმენტს და სწორ დასკვნებს გამოიტანს“.**

Агентство международной информации НОВОСТИ

## ჩრდილი – შუქის ნაცვლად

**თუ საქართველოს ხელისუფლება დღემდე ოპოზიციას ადანაშაულებდა იმაში, რომ იგი კრემლის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, ახლა უკვე ოპოზიცია გამოთქვამს ანალოგიურ ბრალდებებს ქვეყნის ხელმძღვანელობის მისამართით. „რუსული კოზირის“ გათამაშება საქართველოში უკვე ჩვეულებრივი საქმე ხდება, განსაკუთრებით კი – სულ უფრო მზარდი შიდაპოლიტიკური კრიზისისა და გადაუჭრელი ეკონომიკური პრობლემების პირობებში. თუმცა, არავინ იცის, სინამდვილეში რამდენად ალელვებთ ქართველებს „მოსკოვის ხელი“.**



ორშაბათს საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და „საქართველოს გზის“ ოპოზიციური მოძრაობის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ „ხელისუფლება რუსეთის შეკვეთებს ასრულებს“. მისი თქმით, ასეთი „შეკვეთა“, კერძოდ, გახდა „შეტევა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილზე“, რომელმაც ხელისუფლების ზემოქმედებით დატოვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტისა და ბიზნესმენთა ფედერაციის ხელმძღვანელის პოსტები.

შეგახსენებთ, რომ ბადრი პატარკაციშვილი იძებნება რუსეთის ხელისუფლების მიერ შუა 1990-იან წლებში ჩადენილ დანაშაულობებისთვის, მაგრამ საქართველო თავის მოქალაქეებს – პატარკაციშვილი კი ამ ქვეყნის მოქალაქეა – კონსტიტუციის თანახმად არ გადასცემს სხვა ქვეყნებს. ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთმა შეიძლება მოსთხოვოს საქართველოს პატარკაციშვილის გასამართლება მხოლოდ მისი ყოფნის ადგილზე.

„მე საქართველოში ვერ ვხედავ ვერავის ისეთს, თუ არ ჩავთვლით ხელისუფლებას, რომელიც რუსეთისთვის მუშაობდეს, – თქვა ზურაბიშვილმა. – ეს აშკარაა იმითაც, რომ ჩვენი ეკონომიკა პრაქტიკულად მთლიანად რუსეთის ხელშია“.

ქართული ოპოზიცია განსაკუთრებით შეშფოთებულია იმით, რომ ქვეყნის ენერგეტიკაზე ძალზე დიდია ЭЕС Россия რუსეთის სააქციო საზოგადოების და „გაზპრომის“ გავლენა, ეკონომიკურ რეფორმათა საკითხებში სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს კი იგი საქართველოში რუსეთის ინტერესების მთავარ ლობისტად მიიჩნევს.

რეალობა კი ასეთია: სადღეისოდ ქართველებს უფრო მეტად სჭირდებათ პური, ვიდრე სანახაობა. ფასების შეუჩერებელი ზრდა და უმუშევრობის პრობლემა თითქმის ყველა ოჯახს ეხება.

ჯერ კიდევ ორიოდე დღის წინათ კილოგრამი შაქარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირდა, დღეს კი მისმა ფასმა 2 ლარს მიაღწია. ანალოგიურად იზრდება სხვა კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საქონლის ფასები. ამის თაობაზე რაიმე კონკრეტული ახსნა-განმარტება არ არსებობს. საქართველოს მოსახლეობისთვის სადღეისოდ აქტუალურია უმუშევრობის პრობლემა, რაც ორშაბათს გაზეთ „კვირის პალიტრის“ მიერ განხორციელებულმა გამოკითხვამაც დაადასტურა.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ გამოკითხვებში წინათ ყოველთვის პირველ ადგილზე იყო ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, მაგრამ მან მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამე ადგილი კი დაიკავა ფასების ზრდამ. ადამიანის უფლებათა დარღვევის პრობლემა მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა პოლიტიკური დაპირისპირების პრობლემა.

ერთი შეხედვით, სოციალური უკმაყოფილება ხელს უნდა აძლევდეს ოპოზიციას. ხელისუფლება ცდილობს გამონახოს „ადეკვატური“ პასუხი და თვითონაც ყველაფერში რუსეთს ადანაშაულებს.

საქართველოში შექმნილი ვითარება ძალზე წააგავს დრამატულს. ეს აღიარა შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმაც. ჟურნალისტებთან საუბრისას დიპლომატმა განაცხადა, რომ „ვითარება აშკარად დაძაბულია“. ჯონ ტეფტმა მოუწოდა ყველა პოლიტიკურ ჯგუფს ილონონ ყველაფერი იმისთვის, რომ სიტუაცია არ გასცდეს გონივრულ ჩარჩოებს და ამას არ მოჰყვეს „დემოკრატიული ნორმებისა და იდეალების“ ნგრევა.

(იბეჭდება შემოკლებით)

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

● ეს იქნება იმის ყველაზე სერიოზული მცდელობა, რომ როგორმე დასრულდეს მრავალი წლის მანძილზე გაჭიანურებული ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი



# კონდოლიზა რაისი: დადგა პალესტინის დამოუკიდებლობის დრო

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თქმით, ვაშინგტონი „ილონებს ყველაფერს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის“. როგორც რაისმა აღნიშნა, პრეზიდენტმა ბუშმა გადაწყვიტა, რომ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოწესრიგება ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დაისახოს.**

ის ნაბიჯები, რომლებიც ამჟამად იდგმება მოლაპარაკების განახლების გზაზე, ყველაზე სერიოზულია, რომლებიც კი აქამდე გადადგმულა ამ მრავალწლიანი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მიაჩნია სახელმწიფო მდივანს.

ახლო აღმოსავლეთში ვიზიტის დროს რაისი ყოველმხრივ ეცდება ჩაშლისგან გადაარჩინოს ნოემბრისთვის დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენცია. საქმე ის არის, რომ პალესტინელთა განცხადებით, თუ ვერ მოხერხდა იმ ერთობლივი დეკლარაციის პრინციპების შეთანხმება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მოლაპარაკებას, ისინი არ დაესწრებიან კონფერენციას. ისრაელის მხარის აზრით კი, იგი ვერ ხადავს შეხვედრის გამართვამდე ასეთი დოკუმენტის შეთანხმების საჭიროებას.

ისრაელის ლიდერებთან მოლაპარაკების პირველი ტურის დასრულების შემდეგ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეებმა არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ კონფერენცია შეიძლება გადაიდოს იმ დრომდე, სანამ ამ საკითხის თაობაზე მხარეები ვერ მიაღწევენ თანხმობას.

პალესტინის ავტონომიის მეთაურთან მაჰმუდ აბასთან გამართული ერთობლივი პრესკონფერენციის დროს კონდოლიზა რაისმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პრეზიდენტ ბუშის გამონათქვამს, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაფერს ილონებს პალესტინასა და ისრაელს შორის არსებული ძველი კონფლიქტის მოგვარებისთვის. „ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჯორჯ ბუში სერიოზულად მოეკიდებს ხელს ამ პრობლემის გადაჭრას და იგი აპირებს ასე იმოქმედოს მანამ, სანამ კონფლიქტი არ მოგვარდება. ეს კი უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს“, — დასძინა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა.

როგორც კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, კონფერენცია, რომლის გამართვა დაგეგმილია მერილენდის შტატის ქალაქ ანაპოლისში, „სერიოზული და შინაარსიანი“ უნდა იყოს. „გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ სხვა საზრუნავიც ბევრი გვაქვს, გარდა იმისა, რომ ანაპოლისში მოვიწვიოთ ხალხი მხოლოდ ჯგუფური ფოტოსურათის გადასაღებად“, — დასძინა მან.

მაგრამ, აღნიშნა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, პალესტინელთა ლიდერთან მაჰმუდ აბასთან და ისრაელის პრემიერ-მინისტრთან ეჰუდ ოლმერტთან კონტაქტების დროს იგრძნო, რომ ეს ადამიანები სერიოზულად ეკიდებიან და ერთგულობენ ამ საქმეს. ამიტომ, განაცხადა რაისმა, ეს იქნება იმის ყველაზე სერიოზული მცდელობა, რომ როგორმე დასრულდეს მრავალი წლის მანძილზე გაჭიანურებული ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი.

## ჩინეთში მთვარის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას აპირებენ

**პირველი ჩინური „ჩანიე-1“ მთვარის ხელოვნურ თანამგზავრს გაუშვებენ 22-25 ოქტომბრის პერიოდში სიჩანის კოსმოდრომიდან. თანამგზავრს ორბიტაზე გაიყვანს „ჩანჯენ-3ა“ მატარებელი-რაკეტა. თანამგზავრი მოთავსებულია რაკეტაზე და ახლა ხორციელდება ბოლო სამუშაოები, რათა შეამოწმონ გაშვებისათვის მისი მზადყოფნა.**



იტყობინებიან, რომ ყველა მსურველს შეეძლება ადევნოს თვალყური მატარებელი-რაკეტის გაშვებას კოსმოდრომზე გამოყოფილი სპეციალური მოედნიდან. 2000 ბილეთის გაყიდვა უკვე დაიწყო. ბილეთების შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ პირადობის მოწმობას. ამავე დოკუმენტს შეამოწმებენ კოსმოდრომის ტერიტორიაზე მათი შესვლის დროს.

როგორც ჟურნალისტებს განუმარტეს, ყოველივე ეს კეთდება იმისთვის, რომ „არ დაუშვან ყალბი ბილეთების გამოჩენა, აგრეთვე დაიცვან უშიშროება“. ბილეთის ფასია 800 იუანი (107 ამერიკული დოლარი).

ჩინეთში „ჩანიე-1“ თანამგზავრის გაშვება არის მთვარის შესწავლის პროგრამის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპისთვის — 2012 წლისთვის — დაგეგმილია მთვარემავლის გაგზავნა, რომელიც იქ სამი თვის განმავლობაში იმუშავებს. მესამე ეტაპი კი ითვალისწინებს მთვარეზე საკვლევი აპარატის დაშვებას, რომელიც დაგეგმილ სამუშაოთა შესრულების შემდეგ, დედამიწაზე უნდა დაბრუნდეს.

## სან-ფრანცისკოს აუქციონზე ადოლფ ჰიტლერის კუთვნილი გლობუსი გაიყიდება

**13 ნოემბერს შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში გაიმართება აუქციონი, რომელზეც, სხვა ლოტებთან ერთად, გამოიტანენ ადოლფ ჰიტლერის კუთვნილ გლობუსს.**

მესამე რაიხის დროინდელი ეს გლობუსი შეერთებულ შტატებში მოხვდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ეს რელიკვია იპოვა და შეერთებულ შტატებში გაგზავნა ვინმე ჯონ ბარსამიანმა. ამჟამად იგი 91 წლის არის და იხსენებს, რომ ომის წლებში აღმოჩნდა ეგრეთ წოდებულ „არწივის ბუდეში“ — ბავარიის ალპებში მდებარე ფიურერის ზამთრის რეზიდენციაში. ეს მოხდა უკვე მაშინ, როცა მოკავშირეთა ავიაციამ რეზიდენცია ნანგრევებად აქცია. ამის შემდეგ ბარსამიანი და სხვა ჯარისკაცები დაეპატრონენ ყოველივე იმას, რაც გადაურჩა დაბომბვას: ზოგიერთებმა ავეჯს ტყავის გადასაკრავიც კი ააჭრეს. ბარსამიანის თქმით, ყველაფერი გაანადგურეს, მაგრამ მაგიდაზე, როგორღაც გადარჩა ეს გლობუსი.



ომის რელიკვიას გამოიტანენ აუქციონზე სპეციალურ დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც მის წარმომავლობას ადასტურებენ. სხვა ქაღალდებთან ერთად იქნება სპეციალური ნებართვაც, რომლის თანახმადაც მოხდა ამ ნადავლის შემოტანა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. 1945 წლის დათარიღებულ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ჯონ ბარსამიანს ეძლევა უფლება შეიტანოს შეერთებულ შტატებში „გლობუსი, ერთი ცალი, გერმანიიდან, ჰიტლერის „არწივის ბუდიდან“.

როგორც ვარაუდობენ, გლობუსი, რომელიც 60 წლის განმავლობაში ჯონ ბარსამიანის კუთვნილება იყო და მის სახლში ინახებოდა, 15-20 ათას დოლარად გაიყიდება. გლობუსთან ერთად საჯარო ვაჭრობაზე გამოიტანენ მესამე რაიხის დროის სხვა ექსპონატებსაც — ჰიტლერის ხელმოწერილ დოკუმენტებს, აგრეთვე სიგარების ყუთს, რომელიც ეკუთვნოდა გერმანიის ნაცისტური პარტიის ლიდერს ჰერმან გერინგს.

## განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ

**მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია („მესა“) აცხადებს ღია კონკურსს მშენებლობის პროექტების ექსპერტების (კონსტრუქტორთა და ინჟინერ-გეოლოგთა) მომზადება-გადამზადების პროგრამების შედგენაზე.**

პროგრამების შედგენისას სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, როგორც მინიმუმი გაშუქებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ექსპერტიზის განმარტება. ექსპერტიზის სახეები მისი განხორციელების, დარგების და ექსპერტიზის საგნის მიხედვით.

2. ექსპერტიზის როლი მშენებლობაში. მიზნები, ამოცანები და მნიშვნელობა შედეგის მიხედვით.

3. დღეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიმოხილვა (ჩამონათვალი დარგების მიხედვით). რეკომენდაციები, შესაძლო კრიტიკა და წინადადებები (მთავრობის დადგენილება №140 11.08.05 წ.).

4. ექსპერტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები საერთო და კერძოდ მშენებელ-ექსპერტისათვის („მესას“ დებულება).

5. მშენებლობაში სადაო საკითხების ექსპერტიზა, როგორც მშენებლობის ექსპერტის განსაკუთრებული დანიშნულება და ფუნქცია. სადაო საკითხებზე ცალსახა პასუხის გაცემა სათანადო არგუმენტაციით, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს პასუხების მრავალფეროვნებას და ვარიანტებს.

6. საექსპერტო დასკვნის აუცილებლად საჭირო შემადგენელი ნაწილები (ზოგადი მიმოხილვა, პროექტის საექსპერტიზო ნაწილის მოკლე აღწერა და დახასიათება, მისი შესაბამისობა სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და საპროექტო დავალებებთან; დასკვნა მის დასამტკიცებლად რეკომენდაციის გაცემის ან უარყოფის სახით).

7. ექსპერტიზის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი (კანონი, მთავრობის დადგენილებები, პრეზიდენტის ბრძანებულებები და ა. შ.) მათი კრიტიკული შეფასება და წინადადებები.

8. ექსპერტიზა — საპატიო და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

9. მნიშვნელოვანი ობიექტების საექსპერტო დასკვნების მაგალითები (საცხოვრებელი და მრავალფუნქციური კომპლექსები, მაგისტრალური გაზსადენები და ნავთობსადენები, აერო და საზღვაო პორტები, სარკინიგზო და საავტომობილო გზები, რეგიონებისა და ქალაქების წყალმომარაგება — პროგრამის ავტორი უნდა გაეცნოს აღნიშნულ დასკვნებს).

10. ექსპერტის განსაკუთრებული მოვალეობა — ყველა დონეზე დაიცვას და დაასაბუთოს მის მიერ გაცემული დასკვნა.

აღნიშნული პროგრამა უნდა განთავსდეს 10 ლექციის სახით, თითოეული 2 აკადემიური საათის ხანგრძლივობით.

წარმოდგენილ პროგრამას თან უნდა დაერთოს პროგრამის შედგენისათვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

**კონკურსის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.** კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი პირველი პრემია **1000-1000 ლარის ოდენობით;** მეორე ორი პრემია **500-500 ლარის ოდენობით.**

საკონკურსო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში განცხადების გამოქვეყნებიდან შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-7 სართული, ოთახი 718.

საკონტაქტო ტელეფონი: **38-96-40.**

„მესას“ გამგეობა მადლობას უცხადებს სს „სპეცმონოლითის“ სამეცნიერო-საპროექტო-სამშენებლო ფირმის და შპს „მშენებლობის ექსპერტი და მედიატორის“ დირექტორებს ბ-ნ **ზაურ ბერუაშვილს** და ბ-ნ **მერაბ მურღულიას** კონკურსის საპრემიო ფონდის შექმნისათვის.

**„მესას“ გამგეობა**

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

● თუ „არასამთავრობოებმა“, რომლებიც რეგიონებში დიდი აქტიურობით არსად გამოირჩევიან, გადაუჭრელ პრობლემებს ისევე შეუტიეს, როგორც ამას „ასა“ აკეთებს, ვფიქრობთ, ქალაქისა და ქვეყნის გასაჭირზე ხალხის ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისად

◎ საქალაქო მეურნეობა

# ასე, კვლავ ასე შეუტიე, „ასა“!




(მერვე გვერდიდან)

ჩვენს მიერ დასმულ ყველა კითხვაზე მასპინძელთა პასუხი ამომწურავი და უაღრესად კვალიფიციური იყო.

აღმოჩნდა, რომ უკვე სერიოზული სამუშაო შესრულდა 27 მილიონ ლარად ღირებული პროექტის განსახორციელებლად. იგი ითვალისწინებს მარტვილიდან წყლის მიღებასა და მოსახლეობისათვის უწყვეტად მიწოდებას, შიდა ქსელების გამართულობას, მოსახლეობისა და დაწესებულებათა გამრიცხველიანებას.

ფოთის წყალკანალის დირექტორმა, ბატონმა ვლადიმერ მსხილაძემ დაწვრილებით გაგვაცნო დაფინანსების წყაროები და პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ადგილობრივი ზემოქმედების ბერკეტები: მშენებლობის მიმდინარეობაზე თვით წყალკანალის მიერ სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომლიდან იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც მშენებლობის მიმდინარეობაზე, მოცულობასა და ხარისხზე მოიპოვებს.

მონიტორინგისა და ფინანსური მდგომარეობის მონაცემებს ყოველკვირეულად ქალაქის მერიაც ისმენს. ეს საშუალებას იძლევა, ფლობდნენ სიტუაციას და რეალურ ზემოქმედებას ახდენდნენ პროექტის განხორციელებაზე.

მისაბაძად გვეჩვენება, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და უშუალოდ სამსახურის წარმომადგენლებისაგან ქალაქის მტკივნეული პრობლემებისადმი შორსმხედველი მეურვის პოზიციაც. ფინანსური წყაროების მოძიებამდე პროექტი 5 წლით ადრე ჰქონდათ დამუშავებული და ცივილური ურთიერთობებიც ისე ჩამოაყალიბეს, რომ მშენებლობის არც ერთი სამართლებრივი საკითხი ყურადღებიდან არ გამორჩენიათ. დროულად და ყველა აუცილებელი მომენტის გათვალისწინებით ჩატარდა ტენდერიც, რამაც დააჩქარა სამუშაოთა დაწყება და ნოემბრიდან დღემდე მარტვილი-სენაკის წყალსადენის მონაკვეთის 30% უკვე გაყვანილია.

ამაზე ყურადღებას განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებ, რომ მუშაობის ასეთი ოპტიმალური დაგეგმვა, რომელიც სწორი მეცნიერული მართვის პრინციპებს ეფუძნება, ხელს უშლის კორუფციას, თაღლითობას, თანხების დატაცება-განიავებასა თუ სხვა ისეთ უბედურებას, რამაც ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის 24 წარმომადგენლის ერთობლივი დაპატიმრება განაპირობა.

* * *

ფოთიდან ზუგდიდს ვეწვიეთ და აქაც ცენტრალური მაგისტრალისა და მისი მიმდებარე ქუჩების სისუფთავემ მოგვხიბლა. ზუგდიდში რეგიონულ მართვაში საქართველოს რწმუნებულის აპარატის წარმომადგენლებმა გურამ წულაიამ და გელა სვირავამ გვიმასპინძლეს. გვესაუბრნენ რეგიონის ინფრასტრუქტურაზე, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასა და ტურიზმზე.

ინფრასტრუქტურაში აქაც ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია მყარი ნარჩენების გატანა-უტილიზაცია. ამ მიზნით ხობს უკვე დაუმთავრებია ნარჩენების მართვის პროექტი, ხოლო ზუგდიდს მხოლოდ ტექნიკის შესაძენად 600 ათასი ლარი გამოუყვია.

ამ მონაცემების ადგილობრივ პირობებთან შეჯერება, საზოგადოებისთვის გაცნობა და თვითმმართველობისათვის გადასაცემად სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რაც ქუთაისში შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობაზე მოახდენს გავლენას, უახლოესი დღეების საქმეა. ეს, ქალაქის თავკაცთა არაბუნებრივად დაჩქარებული ცვლის მიუხედავად, ალბათ, ბევრ რამეს აუცილებლად შეცვლის.

და ერთიც.

თუ „არასამთავრობოებმა“, რომლებიც რეგიონებში დიდი აქტიურობით არსად გამოირჩევიან, გადაუჭრელ პრობლემებს ისევე შეუტიეს, როგორც ამას „ასა“ აკეთებს, ვფიქრობთ, ქალაქისა და ქვეყნის გასაჭირზე ხალხის ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისად.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ქუთაისი.**

**სურათზე: ბაზარი ყველგან ბაზარია, მათ შორის ფოთშიც და ეს შესასვლელშივე თვალნათლივია.**
**ლაშა ჭელიძის ფოტო.**

◎ პოლიტშოლტები

## იგავის გახსენება

**„მე ხომ ჩემი დამემართა – თქვენ მაგ ყეფითა და ყივილით რაღაცა სოფელსაც ააშენებთ, მაგასაც ვნახავო“ – მგონი ასე გასძახა დაბოლმილმა მელამ ერთ არაკში ძაღლსა და მამალს...**

„კოკოითი ფანდარასტ!“ ახალი წამოწყებული იყო და ეგ ჩვენი დარდი ედუარდი მართლაც წავიდა, ოღონდ... რიწის ტბაზე, დასასვენებლად. ახლა, როცა „ფანდარასტულმა“ მოძრაობამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო და კიდევაც ამღერდააცეკვდა, კოკოითი მაინც არხეინად რჩება ცხინვალში, შემომჯდარა ქანდარას და აინუნშიც არ აგდებს ამ ჩვენს „ფანდარასტს“.

თუმცა არც მთლად ისეა, დროდადრო როგორ არა, მიდის... მოსკოვში, მაგრამ ეგ წყეული ისევ ბრუნდება; და ალბათ ცხინვალშიც და მოსკოვშიც იცინის, იცინის, კვდება სიცილით...

ისე, ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად თუ „ფანდარასტზე“ უფრო ეფექტიანი ვერაფერი მოგვიფიქრებია, რაღა გვიჭირს...

## „მე ვიტყვი სიმართლეს“

**არ წყდება მითქმა-მოთქმა ირაკლი ოქრუაშვილის ორი „გამოხდომის“ გარშემო – ხალხში, გაზეთებში, ტელეეკრანზე. ნაირ-ნაირ ვერსიას განიხილავენ, არის ერთი მკითხაობა, გაანალიზება, პროგნოზირება...**

სიმართლე კი მე პირადად უბრალო მგონია: ჩაიჭრა ექს-მინისტრი, გატყდა, მაპატიეთ გამოთქმა და, „ქვეშიდან გამოვიდა“. უმტყუნა ვაჟკაცობამ ბატონ ირაკლის და ჰე, ახლა... გმირობა ადვილი არ არის, დიდ შინაგან ძალას, მაღალ სულიერებას, ურყევ რწმენას მოითხოვს და ღვთის რჩეულთა ხვედრია. იმდენი სიცოცხლე თქვენც და მეც, რამდენიც ჭეშმარიტი გმირის მაგალითი ვიცით, ვერავითარ წამებას, ზეწოლას, ზემოქმედებას ვერ გაუტეხია; თუმცა... ეგებ სათანადო „ტექნოლოგიები“ ამაღლდა ისე, რომ ჩვენს დროში ვაჟკაცობა-გმირობა შეუძლებელი და წარმოუდგენელი გახდა?...

ისე, მე პირადად იმ პირველი „გამოხდომისა“ მჯერა, იმიტომ, რომ ის, ვისაც რა დააბრალეს, საკუთარი მიზნებისთვის, მდგომარეობისთვის, მაღალი კარიერისთვის ყველაფერზე წამსვლელია...



## გენმდივნის ნაბურჭალევი

**მეც ყველასავით ბავშვობიდან მოვდივარ – ზემოიმერული ბავშვობიდან მოვდივარ. იქიდან მახსოვს სიტყვა „ბურჭალობა“ (ან „ბურჭალი“ძ – თამაშს ნიშნავს...**

მმართველი პარტიის ახალგაზრდა გენერალურმა მდივანმაც წაუბურჭალა, როცა ქველმოქმედებითაც ცნობილ ქართველ ბიზნესმენს დაუპირა გაშარჟება და დიდი ულვაში ნახატში გაუთამაშ-გაუმასხარავა; შემდეგ იმ ნახატს დაუწყო აფრალება და ტელეეკრანიდან დემონსტრირება.

– დათო, შვილო! იმ შენი „შემოქმედების“ ობიექტმა ღირსეული პასუხი გაგცა და კარგი რჩევაც მოგცა; და რამდენიც და როგორც არ უნდა იუკადრისო თუ იტკიცო უფროსების დარიგება, ერთ რჩევას მეც გაგიბედავ, აგრეთვე ბევრად უფროსი კაცი: როცა მსგავს ცელქობას ჩაიფიქრებ, მარტო იმაზე ნუ კი გათვლი, პრეზიდენტსა და „თქვენებს“ ეს როგორ მოეწონებათ და მოგიწონებენ. სხვებზეც იფიქრე, საზოგადოებრიობაზე იფიქრე. საქართველო მარტო პრეზიდენტი და იმისი გუნდი როდია, თუმცა თავად ასე ჰგონიათ...

## თემა გოგონების (ქალიშვილების) აქციისათვის

**ბოლო დღეებში ზედიზედ გავხდით ორი ახალგაზრდული, გამჭვირვალედ „ჩაწყობილი“ აქციის მოწმენი:** ერთხელ რუსეთის საელჩოსთან (არადა იმ ელჩს არაფერი ისეთი საპროტესტო არ უთქვამს, ახალგაზრდები რომ ასე ყალყზე დამდგარიყვნენძ, მეორედ – ბადრი პატარკაციშვილის სახლთან (სადაც ერთობ უნიჭოდ ააფრიალეს ყალბი დოლარ-კუპიურებიძ.

– შვილიკოებო, შვილიშვილიკოებო, ბიძიკოებო! მოდით, აქცია ერთხელა ენობრივ და ეროვნულ უბედურებად ქცეულ „ჩემი დედა“, „ჩემ დედას“ წინააღმდეგ, „ბოზიშვილი ვიყოს“ წინააღმდეგ მოაწყვეთ. ეს მოწოდება პირველ რიგში გოგონებს, ქალიშვილებს გეხებათ, თუ ამ სიგლახეს არ გადაეჩვევიან.

გარდამავალ ეტაპად „ჩემი ჭკუა“, „ჩემ ჭკუას“ ხმარება ურჩიეთ და კიდევ ის აუხსენით, რომ „ბოზიშვილი ვიყო“-თი ორ მშობელს შეურაცხყოფენ. ამიტომ მიეცით რეკომენდაცია, სრულ გადაჩვევამდე „ბოზი ვიყო-ზე გადავიდნენ. მართალია, სამივე შემთხვევაში საკუთარი თავის შელახვა მოუწევთ, მაგრამ თუ ის ჭკუა აქვთ, მშობლების გალანძღვას უნდა ამჯობინონ. მერე და მერე ეგებ ისე აეწვათ, რომ ესეც მოიშალონ. აკი ვთქვი, გარდამავალ ეტაპად ურჩიეთ-მეთქი...

**თამაზ ებანოიძე**

◎ ინფორმაცია

## ხუთი ახალი საელჩო

**მომავალი წლისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხუთი ახალი საელჩოს გახსნას გეგმავს.**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა ჩიქოვანის განცხადებით, საელჩოები გაიხსნება ლატვიაში, ესტონეთში, დუბაისა და იაპონიაში, ხოლო სანკტ-პეტერბურგში – გენერალური საკონსულო.

საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, რომელზეც 2008 წლის ბიუჯეტს განიხილავდნენ, კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა საგარეო საქმეთა სამინისტროს საელჩოების შენობების პრობლემის გადაჭრის ინიციატივით მიმართა.

მისი თქმით, აუცილებელია დაიწყოს მუშაობა, რათა საელჩოებს საკუთარი შენობები ჰქონდეთ და ქირას აღარ იხდიდნენ.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს საელჩოებს საკუთარი შენობა მხოლოდ გერმანიასა და თურქეთში აქვთ.

## ფასების საერთო დონე გაიზარდა

**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა საქართველოში მიმდინარე წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, 101,5 პროცენტი შეადგინა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს, სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის ფასების საერთო დონე სამთომოპოვებით მრეწველობაში 12,6 პროცენტით, ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაში 0,8 პროცენტით გაიზარდა.

ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე ფასების დონე უცვლელი დარჩა.

**ინტერპრესნიუსი**

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

# სპორტი

● ახალკაცისა და მის მფარველ-ქვეშევრდომთა გასაგონად ვაცხადებთ: რამდენიც არ უნდა მალოთ, შუბი ხალთაში მაინც არ დაიმალება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში თქვენს საგმირო საქმეებზე ყველაფერი იციან და, ადრე თუ გვიან, ქართული საზოგადოებრიობისთვის მაშინ გაწნული სილა ბუმერანგივით მოგიბრუნდებათ

№ 199. ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2007 წელი.

◎ ორბიტაზე

## სამი რეკორდი სამ დღეში



**დიახ, მხოლოდ სამი დღე დასჭირდა ამერიკელ მოცურავე ქალს კეიტ ზიგლერს, რათა ზედიზედ სამი მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა თავისუფალი სტილით ცურვაში.**

19 წლის მოცურავემ გერმანულ ესენში საერთაშორისო შეჯიბრებაზე თავისივე მსოფლიო რეკორდი დაამხო 800 მეტრზე ცურვაში. ახლა ის „მოკლე წყალზე“ – 8 წუთსა და 8 წამის ტოლია. არადა, პარასკევს ამ დისტანციაზე დამყარებული მისი მსოფლიო რეკორდი 8 წუთი და 9,68 წამი იყო, რითაც მან 2005 წლის დეკემბრიდან დაწყებული მსოფლიო რეკორდსმენობა ჩამოართვა ფრანგ ლორა მონოდუს (8.11,25ძ.

თითქოს რეკორდების „მადა“ გაეხსნაო და გუშინწინ კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიო რეკორდსმენი 1500 მეტრზე ცურვაშიც.

## ვინ იქნება მსოფლიოში საუკეთესო?



**სპორტის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი რუსეთელი ჭოკით მხტომელი, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ელენა ისინბაევა პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნის წოდებაზე.**

მძლეოსანთა ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციის ( IAAF ძ მიერ ამ საპატიო წოდებაზე შერჩეულ კანდიდატთა სიაში 11 ქალი და 11 მამაკაცია.

აი, ისინიც: **მამაკაცები.** კენენისა ბეკელე (ეთიოპია, 5000 და 10 000 მეტრზე სირბილიძ, ტაისონ გეი ( აშშ, 100 და 200 მეტრზე სირბილიძ, ჰაილე გებრესელასიე, (ეთიოპია, მარათონი და ნახევარმარათონიძ, რის ჰოკა (აშშ, ბირთვიძ, ბერნარდ ლაგატი (აშშ 1500 და 500 მეტრიძ, ტერო პიტკამიაკი (ფინეთი, შუბიძ, ასაფა პაუელი (იამაიკა, 100 და 200 მეტრიძ, ირვინგ სალადინო (პანამა, სიგრძეზე ხტომაძ, ზერსენაი ტადესი (ერიტრეა, ნახევარმარათონი და მარათონიძ, ჯერემი უიორნერი (აშშ, 400 მეტრიძ, ლიუ სიანი (ჩინეთი, 110 მეტრი არჯმენიძ.

**ქალები.** მესერეტ დეფარი (ეთიოპია, 5000 და 10 000 მძ. ელისონ ფელიქსი ( აშშ.100, 200 და 400 მძ, ელენა ისინბაევა (რუსეთი, ჭოკით ხტომაძ, მარიამ იუსუფ ჯამალი (ბრუნეი, 1500 მძ, ჯანეტ ჯეპკოსგეი (კენია, 800 მძ, ლორნა კოპლაგატი (ნიდერლანდები, ნახევარმარათონი და მარათონიძ, კაროლინა კლიუფტი (შვედეთი, მრავალჭიდიძ, ტატიანა ლებედევა (რუსეთი, სიგრძეზე და სამმაგი ხტომაძ, სანია რიჩარდსი (აშშ, 400 მძ, ვალერი ვილი (ახალი ზელანდია, ბირთვიძ, ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია, სიმაღლეზე ხტომაძ.

თუ ვინ მოიპოვებს ამ საპატიო წოდებას, კომპეტენტური ჟიური 25 ნოემბერს გამოაცხადებს მონაკოში, საგანგებო გალა-საღამოზე.

## ნეტავ რა შურს?

**ბრიტანელმა მოდელმა ჯორდანმა სახელგანთქმული ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის ცოლი ვიქტორია უსაქმურობაში დაადანაშაულა.**

ის თავის ქმართან – პიტერ ანდრესთან ერთად ჯონათან როსის სატელევიზიო საღამოზე იყო. ეს ბრალდება სწორედ იქ გაისმა: „მე მისი ძუძუები კი მომწონს, – თქვა ჯორდანმა, – მაგრამ, ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ის აღიარებს, რომ ისინი ყალბია!“

„დევიდი კი კარგად თამაშობს ფეხბურთს, ფულსაც აკეთებს, მაგრამ რას აკეთებს ვიქტორია? – არაფერს“, –ამატებს ლამაზმანი მოდელი.



მაინც რა შურს მას პოშისა (ასე ეძახიან ვიქტორიას მის ყოფილ პოპულარულ ანსამბლში „სპაის გერლზ“ძ? ვითომ მკერდი?

◎ „ევრო-2008“

# ბუმერანგის მოლოდინში

**დღეს 21 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის ბოლოსწინა ტურის შეხვედრა საქართველოსა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის.**

თუ გავითვალისწინებთ ამ მეტოქეთა შორის გლაზგოში გამართული პირველი მატჩის პერიპეტიებს, რომელიც მასპინძლებმა ბოლო წუთებზე მოიგეს – 2:1, „ჯვაროსანთა“ გულშემატკივრებს გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად გააჩნიათ, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ეს უპირველესად სტუმრებზე ითქმის, რომლებიც, როგორც ჯგუფის ლიდერები, არნახულად მოტივირებულნი არიან და წარმატების შემთხვევაში დიდ ნაბიჯს გადადგამენ ფინალური ეტაპისკენ. მართალია, მათ ტრავმირებული კოლდუელი, ჰატონი და ბრაუნი დააკლდებათ, მაგრამ ახალგამოჯანმრთელებული ფლეტჩერი უზრუნდებათ. დაუმატეთ ამას თბილისში ჩამოსული 2500 ბრიტანელი ფანი და მიხვდებით, როგორი ფაქტორითაა ნასაზრდოები მათი ამბიცია.



რაც შეეხება ტოპმიოლერის გუნდს, მას ვერც ამჯერად დაეხმარებიან კალაძე და კობიაშვილი. დაგვეთანხმებით, მათი არყოფნა ჩვენს თანამემამულეებს კიდევ უფრო უმცირებს სასურველი შედეგის მიღწევის ისედაც მიზერულ შანსებს, მაგრამ ხომ გსმენიათ, ხანდახან გაუტენავი თოფიც გაისვრის – ვინ იცის, იქნებ დღეს ამოვიდეს კლაუსის მზე.

**და ბოლოს – ამ საღამოს დიდუბის სარბიელზე განვითარებულ მოვლენებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის საპატიო სტუმრები იოზეფ ბლატერი და მიშელ პლატინი მიადევნებენ თვალს. კი მაგრამ, პრესკონფერენცია როდისღა მოეწყობაო – კითხულობენ რამდენიმე დღის განმავლობაში ქართველი ჟურნალისტები. როგორც შევიტყვეთ, ფიფა-უეფას თავკაცები მასმედიას, სავარაუდოდ, ხვალ დილით სფფ საგურამოს მშენებარე ბაზაზე შეხვდებიან. რა ძნელი მისახვედრია, რომ ამით ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები მაქსიმალურად ცდილობენ ჩვენს კოლეგებს სფფ ჩინოსანთათვის არასასურველი კითხვების დასმის საშუალება შეუზღუდონ, უფრო კონკრეტულად კი – 13 მაისის სამარცხვინო ყრილობასთან დაკავშირებულ პერიპეტიებზე. ახალკაცისა და მის მფარველ-ქვეშევრდომთა გასაგონად ვაცხადებთ: რამდენიც არ უნდა მალოთ, შუბი ხალთაში მაინც არ დაიმალება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში თქვენს საგმირო საქმეებზე ყველაფერი იციან და, ადრე თუ გვიან, ქართული საზოგადოებრიობისთვის მაშინ გაწნული სილა ბუმერანგივით მოგიბრუნდებათ.**

გია პლატონიშვილი

◎ რაგბი

# თემურის რაზმი გაშიფრულია



**საქართველოს მორაგბეთა თასის გათამაშების ნახევარფინალში „ლოკომოტივმა“ აშკარად დაჩაგრა „ლელო“ და გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება მიიღო.** რამდენიმე დღის შემდეგ ეს გუნდები ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მერვე ტურში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აქ კი ლელოელთა უპირატესობა აშკარა იყო. რკინიგზელებმა პირველი ტაიმი პირწმინდად წააგეს – 5:24. თემურ ბენდიაშვილის შეგირდებმა ვერც შესვენების შემდეგ შეძლეს პაექრობაში გარდატეხის შეტანა და წლეულს მესამედ დამარცხდნენ – 19:34. ამ გამარჯვებით „ლელო“ გათამაშების ცხრილის სათავეში ერთპიროვნულად მოექცა, რადგან ამ დღეს ორთაბრძოლა დათმეს „ყოჩებმაც“. მათი მძლეველი (31:21ძ ამჯერადაც აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი „დინამო“ გახლდათ. არადა, ლოკომოტივისა“ არ იყოს, თასის გათამაშების ნახევარფინალში მათ სწორედ დინამოელებს დააყრევინეს ფარ-ხმალი.

მაჩანჩალათა დუელში „უნივერსიტეტმა“ „არმაზს“ აჯობა – 16:8. რეგულარული გათამაშების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები ფლეი-ოფში მედლებისთვის იბრძოლებენ. მეექვსეადგილოსანი ქვედა დივიზიონში გადაბარგდება, ხოლო მეხუთე ადგილზე მყოფი მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნებას ეცდება.

დღეისთვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| „ლელო“ | 8 | 6 | 2 | 12 |
| „ლოკომოტივი“ | 8 | 5 | 3 | 10 |
| „ყოჩები“ | 8 | 5 | 3 | 10 |
| „დინამო“ | 8 | 3 | 5 | 6 |
| „უნივერსიტეტი“ | 8 | 3 | 5 | 6 |
| „არმაზი“ | 8 | 2 | 6 | 4 |

◎ ფიგურული ციგურაობა

## გელევანიშვილი ამერიკის გრან-პრით იწყებს



**გერმანიის ქალაქ ხემნიცში ახალგაზრდა მოციგურავეებისთვის ახალი სეზონის გრან-პრის პირველი ეტაპი გაიმართა.** სპორტულ ცეკვებში 78,18 ქულით რუსებმა კრისტინა გორშკოვამ და ვიტალი ბუტიკოვმა გაიმარჯვეს. მეორე-მესამე ადგილებზე ამერიკელები (მედისონ ჩოკი და გრეგ ზერლინიძ და უკრაინელები (ალისა აგაფონოვა, დიმიტრი დიუნიძ გავიდნენ.

შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 22 წყვილი მონაწილეობდა. მათ შორის გახლდათ თბილისელი ოთარ ჯაფარიძე, რომლის ახალი პარტნიორი გახლავთ ამერიკელი იზაბელა ტობიასი. ჩვენმა დუეტმა 64,92 ქულით საპატიო მეშვიდე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება ელენე გედევანიშვილს, იგი პაექრობებში 25 ოქტომბრიდან ჩაებმება. ამ დღეს იგი „სქეით ამერიკის“ გრან-პრიზზე იასპარეზებს.

◎ ავტოსპორტი

# კოსირატი და სულავა

**ჩქაროსნულ მანევრირებაში ეროვნული ჩემპიონატის მე-5 ეტაპზე პირველობისთვის 22 მოყვარული ავტომრბოლი იბრძოდა.** მათ შორის გახლდათ იალტის რალის მეორე პრიზიორი არჩილ ბიძინაშვილი. იგი ამჯერადაც ვერცხლის მედალს დასჯერდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი გიორგი სულავა ავიდა, ლევან შალიბაშვილი მესამე იყო.

ქალები მანქანის მართვის ტექნიკასა და სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ეკატერინე კოსირატმა. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, სალომე აბულაძესა და ანა ოკრიბელაშვილს ხვდათ.





◎ კრივი

## ოკეანის გაღმა — საგზურების საძიებლად

**ჩიკაგოში 23 ოქტომბერს დაიწყება და 3 ნოემბერს დამთავრდება მოკრივეთა სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი.** ნაკრების მთავარი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი ოკეანის გაღმა ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ზვიად ხადური (48 კგძ, ნიკოლოზ იზორია (51ძ, კობა ფხაკაძე (57ძ, ვასილ ყაზიშვილი (60ძ, ლევან ღვამიჩავა (64ძ, კახა ქვანია (69ძ, გიორგი ნაკანი (75ძ, დავით წიკლაური (81ძ და ბექა ლობჟანიძე ( (91ძ. 54 კილოსა და მძიმე წონაში ჩვენები არ გამოვლენ.



● სოჭის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ამ გეოპოლიტიკური სივრცის მკვიდრი, მრავალტანჯული კავკასიელი ხალხების მასობრივი ჟლეტისა და ცალკეულ კავკასიურ ეროვნებათა სასაფლაოს, მშენებარე ოლიმპიური ობიექტები, კავკასიის ხალხთა მოღალადე საფლავებს გადაფარავენ



◎ აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# ოლიმპიადისთვის მზადებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იყენებენ

**ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) 1992-93 და შემდგომ წლებში რუსეთის სამხედრო ავანტიურისა და ეთნიკური წმენდის, გენოციდის შედეგად, ქართველთა ძირძველი მიწა დროებით ოკუპირებული აღმოჩნდა. საქართველოს მტრები მსოფლიო საზოგადოებრიობას აფხაზეთს მიზნობრივად არაქართულ ქვეყნად აცნობენ.**



რუსეთის ხელისუფლება ანხორციელებს რა თავის იმპერიულ ზრახვებს, მიზნად ისახავს მეზობელი ქვეყნების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე აგრესიული სეპარატიზმისათვის სამხედრო-ფინანსურ და პოლიტიკურ ხელშეწყობას და სხვა სახელმწიფოების მიწების დაუფლებას. გაეროსა და საერთაშორისო ძალების უმოქმედობის პირობებში რუსეთის იმპერიულ ინტერესებს ემსახურება აფხაზეთში მყოფი ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტი.

კრემლის ვერაგობის გეგმებში ექცევა სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის სამზადისი, რომლის დროსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უკეთილშობილესი ლონისძიებები გამოიყენება არა ხალხთა დასაახლოებლად, არამედ რუსი ველიკოდრეჟავნიკების მცდელობით, უნდა მიებას აფხაზეთში დაწყებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთის „არაქართულ“ ქვეყნად დადგენას და რუსეთთან მისი ფაქტობრივი მიერთების სამართლებრივ „მოწესრიგებას“, საერთაშორისო აზრის შემზადებას აფხაზეთის რუსეთთან მისაერთებლად.

ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ოლიმპიადისთვის საჭირო კომუნიკაციების ქსელის ნაწილი მდინარე ფსოუს მარცხენა ნაპირზე, ქ. გაგრის ზონაშია დაგეგმილი. საოლიმპიადო კომპლექსადაა მოაზრებული ბიჭვინთა-რიწა და ახალი ათონის წმინდა ადგილები. ყოველივე ამის განხორციელება მიმდინარეობს საქართველოსთან შეუთანხმებლად, ვლინდება საოკუპაციო რეჟიმის ტაქტიკის ახალ ხარისხში გამყარება და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება.

სოჭის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ამ გეოპოლიტიკური სივრცის მკვიდრი, მრავალტანჯული კავკასიელი ხალხების მასობრივი ჟლეტისა და ცალკეულ კავკასიურ ეროვნებათა სასაფლაოს, მშენებარე ოლიმპიური ობიექტები, კავკასიის ხალხთა მოღალადე საფლავებს გადაფარავენ.

რუსეთმა ფსოუს გასწვრივ ცალმხრივი წესით უკვე მიიერთა 350 კვ.მეტრი ფართობი და ამასთან დაკავშირებული წინამსწრები ღონისძიებების ხელწერა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა შეიძლება გამოიყენონ არა მსოფლიო ხალხთა ურთიერთთანადგომისა და პატივმიგებისათვის, არამედ კრემლის მიერ კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ წარმოებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების, გენოციდისა და ეთნოწმენდების, ხალხთა მასობრივი ჟლეტის შედეგად შექმნილი რუსისტული შინაარსის „გაბუნებრივებისათვის და ამით, კიდევ ერთხელ, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის თვალში ნაცრის მისაყრელად.

ვისიგრძეგანებთ რა ამ საბედისწერო სიცხადეს, 2007 წლის შემოდგომის ამ დღეებში, როდესაც აფხაზეთში ფორსირებულად მიმდინარეობს ქართული ყოფითი, სულიერი თუ ცნობიერი შინაარსის აღგვა-გამოძევება, როცა დედაისტორიისა და საერთოდ სინამდვილის ენით უთქმელი გაყალბება სამოქმედო სტრატეგიად იქცა და ამის საფუძველზე კაცობრიობის თვალწინ აფხაზეთი „არაქართულ“ ქვეყნად დგინდება, ჩვენ, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა, რომელსაც უკვე თანამოსანგრედ მოგვესწრო 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ დაბადებული თაობა, კიდევ ერთხელ ვემოწაფებით დიდ წინაპართა ეროვნულ სახალხო ძალისხმევასა და სრულიად საქართველოს ეროვნულ ნებას, შესაბამისად მოვუწოდებთ ყოველთა ქართველთა ერთობასა და მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებრიობას ზნეობით მიღებული ყველა საშუალებით მიაღწიოს, რომ: დაიგმოს და აღიკვეთოს აგრესიული სეპარატიზმი, როგორც საკაცობრიო ღირებულებების ხეყოფის საფრთხე;

აღიარებულ იქნეს, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთში ფაბრიცირებული აგრესიული სეპარატიზმი ველიკოდერჟავული სტრატეგიის ერთ-ერთი ტაქტიკაა ამ მხარის საბოლოო ოკუპაციისათვის;

აფხაზეთის მოსახლეობა გამოცხადდეს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის, ეთნოფაბრიკაციათა და რეპრესიათა მსხვერპლ ხალხად;

შეწყდეს აფხაზეთში მოთარეშე რეჟიმის, ამ სისხლიანი ჯალათების ძუძუმტე აფსუა ეთნოსთან გაიგივება და სისხლის სამართლის დამნაშავეთა მოხსენიება დე ფაქტო ხელისუფლების რანგში;

**საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, რომ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადება, რომელსაც რუსეთი იყენებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, არავითარ შემთხვევაში არ ეხმიანება ოლიმპიური თამაშების ამოცანებსა და მიზნებს.**

**სერგი საჯაია,**
**აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.**

◎ გულისთქმა

# მარიამ ლორთქიფანიძე — შესანიშნავი ინტელექტუალი

**ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე გასული საუკუნის 50-იან წლებში იმ დიდებულმა ტაძარმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომ ჰქვია, ჩამოაყალიბა როგორც ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი და ახალგაზრდების აღმზრდელი-პედაგოგი, ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საკუთარი სამშობლოს ღირსეული მოქალაქე, ჭეშმარიტი მეცნიერი და პატრიოტი.**



იმავე წლებში უნივერსიტეტმა მე ფილოლოგიას მაზიარა და წილად მხვდა ბედნიერება, საქართველოში საოცრად მცირერიცხოვან, მაგრამ ერთმუჭად შეკრულ კოლეგებთან ერთად სათავე დამედო საქართველოს ტელევიზიისათვის.

სწორედ ტელევიზიამ, მისმა ერთ-ერთმა საინტერესო ჟანრმა — ტელერეპორტაჟებმა დამაკავშირა მასთან, შესანიშნავ ინტელექტუალთან, რომელსაც არასოდეს ემლებოდა ამა თუ იმ მოვლენის ობიექტურად შეფასება, ამ მოვლენისადმი მისი პირადი დამოკიდებულების სხარტად, ლაკონურად, „ლოგიკურად“ ჩამოყალიბება და ტელემაყურებლისთვის მიწოდება. ის უტყუარი, საოცრად პუნქტუალური რესპონდენტი ბრძანდება, რომლის მიწვევაც კორესპონდენტს თუ „რეჟისორს“ უამრავ პრობლემას უხსნის, ხოლო რეპორტაჟებს სოლიდურობას, სიღრმეს, დამაჯერებლობას მატებს პოპულარობასთან ერთად.

ასე გასტანა ჩვენმა თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა ურთიერთობამ.

მახსოვს, ერთ-ერთ სახალხო მხატვარს ვეწვიე მოძრავი სადგურითა და რეპორტაჟის მონაწილეებით, რომელთა შორის, მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების გვერდით, მოწვეული მყავდა ქალბატონი მარიამი. მხატვარს მისი ხილვა ცოტა ეუცხოვა, მაგრამ როგორც კი ჩავწერეთ რეპორტაჟი, პირველად ეს მითხრა, — რა საინტერესო ხედვა აქვსო და მადლობა გადამიხადა. ეს იყო და ეს, მას შემდეგ ქ-ნი მარიამი პერიოდულად, მაგრამ უწყვეტად ჩვენი რესპონდენტი ბრძანდებოდა, რისთვისაც ერთხელ კიდევ ვუხდი მადლობას.

მინდა მოვესწრო იმ დღეს, როცა დედა უნივერსიტეტი თავის აღზრდილს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს ასი წლის იუბილეს გადაუხდის.

**ვალენტინა (ვალია) ხაზალია,**
**ღირსების ორდენოსანი, საფრანგეთის ღირსების დიპლომის მფლობელი, აშშ ბიოგრაფიათა საერთაშორისო ინსტიტუტის კვლევითი საბჭოს წევრი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ მოწვევა ინტერესთა გამოხატვისათვის

შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს შესაძლო კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მზადყოფნის დამადასტურებელი განაცხადების მიღებას, ქალაქ ფოთში რკინიგზის ახალი სამგზავრო სადგურის საპროექტო სამუშაოების განხორციელებისა და შესაბამისი არქიტექტურული პროექტის ესკიზების წარმოდგენის მიზნით.

**აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს:**

● ტერიტორიის იურიდიული მისამართი - ქ. ფოთი რეკვავას ქ. № 1;

● შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული მიწის ფართი — 1911 კვ/მ;

● დამატებით შესაძლო ასათვისებელი ტერიტორია — დაახლოებით 500კვ.მ;

● დაინტერესებული კომპანიის მიერ ქალაქ ფოთში ახალი რკინიგზის სადგურის აშენების მიზნით წინასწარი არქიტექტურული პროექტისა და ესკიზების (ინტერიერ-ექსტერიერი) წარმოდგენა;

● პროექტის თანახმად შენობის 300 კვ.მ სავალდებულოა დაეთმოს სადგურის მოსაცდელი დარბაზისა და სალაროების მოწყობას. შენობის დანარჩენი ნაწილის მოცულობა და პროფილი დაფიქსირებული უნდა იყოს წარმოდგენილ პროექტში და საბოლოოდ შეთანხმებული შპს „საქართველოს რკინიგზასთან“.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობით შემდეგი ინფორმაცია:**

● კომპანიის ოფიციალური დასახელება, მისამართი და საქმიანობის აღწერა;

● რკინიგზის ახალი სამგზავრო სადგურის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის ესკიზები;

● წინასწარი საპროექტო მოსაზრება;

● პროექტის დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვა.

აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა აუცილებელია წერილობით შპს „საქართველოს რკინიგზაში“, მისამართზე ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2007 წლის 16 ნოემბერი.

**საკონტაქტო პირები:**
ქონების მართვის სააგენტო
**ნინო დვალიძე** (995 77) 289559; (995 32) 563978
ndvalidze@railway.ge
**ეკა თავთავაძე** (995 77) 289182; (995 32) 563197
etavtavadze@railway.ge



# დიდი ნათელა იანქოშვილის ხსოვნას



## ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი

### „მსოფლიოს ფერების დედა...“



ეს ჩვენი ახალი, ოცდამეერთე საუკუნე ძირძველ მეოცესაუკუნელთა შემსუდრავი ასწლეულია, ერთნაირი გამეტებით მიჰყავს მოკვდავნიც და უკვდავნიც. მეტადრე იმ ჯერაც პოლიტიკური ბურუსით მოცული მეოცის „ძირას“ დაბადებულნი, რომელთა სათვალავსაც მუდამ გამორჩეულად აფერკეთილშობილებდა ნათელა იანქოშვილი, მართლაც უიშვიათესი ხელოვანი და ადამიანი, ბუნების უთვალავი ფერისთვის ცხოველი ქართული სულის ჩამდგმელი... რომლის მთელი შემოქმედების გამოსაფენად, ალბათ, ერთი ცალკე გალერეაც არ იკმარებდა...

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და რამდენადაც თვალი გამიწვდება, იქნებ ამ ცხოვრების მთელ ისტორიულ სიგრძეზეც, თითქმის არ მეგულება ორი ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანის ისეთი ოჯახი, უფრო სწორად, ისეთი ულელტოლობა, ურთიერთამამაღლებელი და ურთიერთშემავსებელი, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ქვეყნისთვის უებარი წამალივით საჭირო შემოქმედებას დაწაფებული, როგორსაც ნათელა იანქოშვილმა და ლადო ავალიანმა შეგვასწრეს. ორივე თავისი საქმის უტყუარი მხატვარი იყო. ერთი ფერით წერდა (თითქოს თვით ცისარტყელას იყენებდა პალიტრადძ, მეორე სიტყვით, და არც ერთის ხელში არცროდის არ შელონებულა და სიკვდილი არ უნატრია არც ფერსა და არც სიტყვას...

ახლაც თვალწინ მიდგას საქართველოში სტუმრად ჩამოსული დიდი კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი, ჩილელ პაბლო ნერუდასთან ერთად სამუდამო მეოცესაუკუნელი, რომლის პოეზიის ქართული გამოცემაც ნათელა იანქოშვილმა დაასურათა... გილიენმა ნამდვილად იცოდა ჭეშმარიტი მხატვრის ფასი და ამიტომაც იყო რომ ნათელა იანქოშვილს მან „მსოფლიოს ფერების დედა“ უწოდა. და უნდა გენახათ, რა მოწიწებით მიჰქონდა უცხოელ პოეტს თავის შორეულ სამშობლოში ქართველი მხატვრის, ამ მსოფლიო „ფერების დედის“ ნაჩუქარი რამდენიმე სურათი, რომელთა შორის ზოგიერთი კუბაში მხატვრის ყოფნით არის შთაგონებული (ახლა ისინი ჰავანაში გილიენის სახლ-მუზეუმშია).

ნათელა იანქოშვილისა და ლადო ავალიანის სახლი (ერთი მხატვრის სახლ-მუზეუმი) თბილისში რუსთაველის გამზირზეა... ბატონმა ლადომ უკვე კარგა ხნის წინათ დააქვრივა ქალბატონი ნათელა, რომელიც ახლა თითქმის 90 წლისა აღესრულა. სახლი რუსთაველის გამზირზე, ერთი შეხედვით, თითქოს უმასპინძლო და უდიასახლისოა, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ ორ უჩვეულო ადამიანს „შვილიც“ ორი და უჩვეულო დარჩა. ერთს „სიტყვა“ ჰქვია, მეორეს „ფერი“. თავიანთი „მშობლებისაგან“ განსხვავებით, ამ „შვილებს“ ხორციელი სიკვდილი ვერ დაემუქრება, რადგან საქართველოს, ბევრი უცხოდ გატლეკილი შინაური თუ გარეული ათასი ოხრისა და მამაძაღლის ჯიბრზე, მარადიულად ექნება თავისი სიტყვაც და თავისი ფერიც...

გურამ გოგიაშვილი



ლადო გუდიაშვილთან ერთად. 1961 წ.

## თავისებურად ხატავდა სამყაროს...

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ხელოვანი, ფერწმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი (1976ძ, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1995ძ, ღირსების ორდენის კავალერი (1996ძ, თბილისის საპატიო მოქალაქე (2000ძ ნათელა იანქოშვილი.

რამდენიმე ათეული წელი იგი თავისებურად ხატავდა სამყაროს. ხელოვნებას შესწირა ყველაფერი. თავად ამბობდა, რომ მისი შვილები მისი ტილოები იყვნენ, ამიტომაც უფრთხილდებოდა, ზრუნავდა მათზე, ემოციურად აღიქვამდა ყველა დეტალს – საგამოფენო სივრცეში მათი განთავსების ადგილის შერჩევასაც, განათებასაც და ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ნამუშევრის აღქმას. საზოგადოებისგან მოითხოვდა თავისი, როგორც მხატვრის, პატივისცემას, შემოქმედების დაფასებას, ზოგადად ხელოვნის მნიშვნელობის შეგრძნებას...

იგი დაიბადა 1918 წელს გურჯაანში, მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე (1937-1943ძ გამოჩენილ მხატვრებთან და პედაგოგებთან მ. თოიძესთან, დ. კაკაბაძესთან, ს. ქობულაძესთან. აკადემიაშივე იპოვა სიყვარული – მისი მეუღლე გახდა მხატვარი და ცნობილი მწერალი ლადო ავალიანი, ვისთანაც ერთად გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი, ვის ლიტერატურულ ნაწარმოებებს თავადვე აფორმებდა, ვისი წასვლაც მისთვის დიდი დანაკლისი იყო...

ნათელა იანქოშვილი ასპარეზზე 50-იანი წლების ბოლოს გამოვიდა. მუშაობდა პორტრეტის, პეიზაჟის ჟანრში. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა მისი წერის თავისებური მანერაც და კოლორიტიც, მხატვრის შემოქმედებამ პირველსავე მნიშვნელოვან გამოფენაზე 1960 წელს, ქალთა საერთაშორისო დღისადმი 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციაზე მიიქცია დიდი ყურადღება. ორიგინალურ და თვალშისაცემი მანერით შესრულებულმა ნამუშევრებმა შეიძინა მხურვალე თაყვანისმცემლებიც და კრიტიკოსებიც.

მის შემოქმედებაში ქალთა პორტრეტები დომინირებენ. მუქი მწვანე ან შავ ფონებზე ფართო ფუნჯით იგი წერს ზოგჯერ საკმაოდ თეატრალიზებულ პორტრეტებს – ირმა ჩოფიკაშვილის (1960ძ, ლილი ლომთაძის (1965ძ, მარინე თბილელის (1967ძ, ზინა კვერენჩხილაძის, დოდო ჭიჭინაძის, რომელთაც ახასიათებთ მკაფიოდ გამოხატული რომანტიკული ინტონაცია. თუმცა რამდენიმე, მისთვის ძვირფასი ადამიანის პორტრეტში: მამის (1959ძ და მეუღლის, ლადო ავალიანის (1953ძ პორტრეტებში სრულად ჩანს ცოცხალი და ენერგიული დახასიათება.

ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ნათელა იანქოშვილმა შექმნა ქართული კულტურის, ლიტერატურის მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტების შესანიშნავი გალერეა: მან ალბეჭდა მომღერლები ანა ვარდიაშვილი (1968ძ, მერი შილდერი (1969ძ, შექმნა მიხეილ თუმანიშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის, თამარ თარხნიშვილის, გასტონ ბუაჩიძის, მედეა ჯაფარიძის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, აგრეთვე ბორის პასტერნაკის, ანჯელა დევისის და სხვათა პორტრეტები. დახატა სალომე ყანჩელი ელიზაბეთის როლში (შექსპირის „რიჩარდ III, 1980ძ, ნინო გრიბოედოვა-ჭავჭავაძის უმშვენიერესი, ნაღვლით სავსე გამოსახულება.

60-იან წლებში მხატვარს პეიზაჟი იტაცებს. მის პეიზაჟებშიც – „ჯვარი“, „გრემი“, „გომბორის ხეობა“ (ყველა 60-იანი წლებიძ და სხვა ქართლ-კახეთში, თუშ-ფშავ ხევსურეთში, მესხეთში შესრულებულ ნამუშევრებში, ხელოვნებათმცოდნეების ვ. ბერიძის და ნ. ეზერსკაიას აზრით, „დემონსტრაციულადაა ხაზგასმული თავისუფლება. კონკრეტული მოტივი გამოიყენება მხოლოდ იმპულსად განყენებულ-რომანტიკულ თეატრალიზებული ლანდშაფტების შესაქმნელად.

ნათელა იანქოშვილის ფერწერისთვის ნიშანდობლივია შედარებით ძუნწი პალიტრა გაბედული, პასტოზური მონასმით ფორმის შექმნა, მძაფრი ფერადოვანი კონტრასტები, ინტენსიური, პლასტიკურად მოდელირებული ფიგურები ექსპრესიულობა, ლაკონიზმი.

ნათელა იანქოშვილის გმირებს ახასიათებთ ეგზოტიკური, ზოგჯერ გამომწვევი მშვენიერება. მისი პორტრეტები დაწერილია შესანატრი თავისუფლებით და ტემპერამენტით, ახასიათებთ დეკორატიულობა და ფერადოვანი ეფექტურობა – ეს თვისებები ერთნაირად დამახასიათებელია მისი ფერწერისათვის და გრაფიკული ხელოვნებისთვისაც. ეს თვისებები მის ნამუშევრებს ფერადოვან სანახაობად აქცევდა, იწვევდა მაყურებელთა მძაფრ დაინტერესებას. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ ალბომში დაფიქსირებულია რამდენიმე ასეული ნამუშევარი, რომელთა უმრავლესობა წარდგენილი იყო იმ დროისთვის უჩვეულოდ ბევრ პერსონალურ გამოფენაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ფერწერაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მხატვრის გრაფიკული შემოქმედება (გუაში, პასტელი, ფანქარიძ: სვანეთში (1961ძ, ფშავ ხევსურეთში, კახეთში, მექსიკაში, ჰოლანდიაში, კუბაზე შესრულებული ნამუშევრები. ეს უკანასკნელი ნახატები გამოყენებული იქნა მხატვრის მიერ კუბაზე მოგზაურობის შედეგად დაწერილ პატარა წიგნში „გმირულ კუნძულზე“ (თბ. 1963ძ.

სერიაში „მექსიკა“ ოსტატურად შესრულებული ეგზოტიკური, ნატიფად სტილიზებული სახეები, რომლებიც მის სუბიექტურ გემოვნებას უპასუხებდნენ, ზემოქმედებენ მაყურებელზე თავად შესრულების მანერით, ტიპაჟების ეგზოტიკურობით, ფერადი გამოსახულების და შავი ფონების საინტერესო შეხამებით.

ნათელა იანქოშვილი მუშაობს წიგნის გრაფიკაშიც. განსაკუთრებით ყურადსაქცევია ლადო ავალიანის წიგნისთვის „ახალი ჰორიზონტი“ (1956ძ შესრულებული ყდა, რომლისთვისაც მან სპეციალური პრემია დაიმსახურა.

მხატვრის შემოქმედების მნიშვნელოვანი მონაპოვარია 1965-66 წლებში შოთა რუსთაველის პოემისათვის „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილი 18 ნამუშევარი, რომლებშიც მან სცადა, ეჩვენებინა პოემის გმირთა სულიერი სამყარო.

მთელი თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა (საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული, რამდენიმე ნამუშევრის გარდაძ მან დაუტოვა ქართველ ხალხს სიცოცხლეშივე (2000 წ.ძ დააარსა რა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე თავის ბინაში „ერთი მხატვრის მუზეუმი“.

იმედია, ადამიანები, საზოგადოება, რომელთაც მხატვარმა ჩააბარა თავისი მუზეუმის და ქონების განკარგვის უფლება შეძლებენ შეასრულონ მისი თხოვნა – შეინარჩუნონ მისი შემოქმედება, აჩვენონ მომავალ თაობებს ნათელა იანქოშვილის, ამ რომანტიკული, და ერთდროულად პრაგმატული ადამიანის ნაწარმოებები.

საქართველოს მხატვართა კავშირი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

---

შვილობილი მხატვარი თეიმურაზ დვალიშვილი ოჯახითა და ახლობლებით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ნათელა იანქოშვილი

პანაშვიდი 17 X, 16 სთ. გამოსვენება 18 X, 14 სთ. რუსთაველის 26, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

---

უახლოესი ნათესავები ნათელა ცქიტიშვილი-აგლაძე, ეთერ, მიხეილ, ვახტანგ ცქიტიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს სახალხო მხატვრის

ნათელა იანქოშვილის

გარდაცვალებას.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფრიად თვალსაჩინო ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ნათელა იანქოშვილი

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მთელ ქართველ საზოგადოებრიობას.

# ბოლო გვერდი

● ხალხს სამსახური და ფული არ აქვს, რის გამოც ისინი უკვე შიმშილობენ და გამორიცხული არ არის, შიმშილის გამო ქვეყანაში ხელისუფლების გადაყენება მოახდინონ



## ინფორმაცია



### აქცია აზერბაიჯანის საელჩოსთან

**საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრმა სასულიერო პირებმა და მრევლმა გუშინ აზერბაიჯანის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართეს.**

აქცია საინგილოში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დახურვის ფაქტის წინააღმდეგ იყო მიმართული.

აქციის მონაწილეებმა აზერბაიჯანის საელჩოს საზოგადოების მიერ ხელმოწერილი საგანგებო მიმართვა გადასცეს.

აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი განკუთვნილ მიმართვაში ნათქვამია, რომ ქართული საზოგადოება შეშფოთებას გამოთქვამს, ძალისმიერი მეთოდებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტაძრის დახურვის ფაქტთან დაკავშირებით.

### ოპოზიცია ქუთათურთა აქტიურობით კმაყოფილია

**გაერთიანებული ოპოზიციის ქუთაისელმა აქტივისტებმა ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის წინ გუშინ ყუთები გახსნეს.**

როგორც ცნობილია, ექვსი ყუთი ქალაქის სხვადსხვა უბანში გუშინ დადგეს. მოქალაქეებს 2 ნოემბრის საპროტესტო აქციაში მონაწილეობის სურვილი უნდა გამოეთქვათ და შესაბამისი განაცხადი ყუთებში ჩაეშვათ.

აქციის ორგანიზატორების თქმით, შიში დაძლეულია, რადგანაც მოსახლეობამ აქტიურობა გამოიჩინა.

აქციაში რესპუბლიკელები, ლეიბორისტები, ეროვნული ფორუმისა და თავისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

### ორ ნოემბრამდე ამ ხელისუფლების ბუნდღა აღარ დარჩება?

**საქართველოს ლეიბორისტული პარტია იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციაზე საბაჟო გადასახადის მოხსნასა და პირველად საკვებ პროდუქტებზე სახელმწიფოს მიერ ფასების ზღვრული ნორმის განსაზღვრას მოითხოვს.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ბოლო პერიოდში 100 პროცენტით გაძვირებულმა სასურსათო პროდუქტებმა მოსახლეობა უაღრესად სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო.

მისი თქმით, ხალხს სამსახური და ფული არ აქვს, რის გამოც ისინი უკვე შიმშილობენ და გამორიცხული არ არის, შიმშილის გამო ქვეყანაში ხელისუფლების გადაყენება მოახდინონ.

– ხალხი დამშეულია და, შეიძლება, ორ ნოემბრამდე ამ მთავრობისა და სააკაშვილის ბუნდღა აღარ დარჩეს. მოვითხოვთ ქვეყანაში შემოტანილი სურსათი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდეს, პირველად საკვებ პროდუქტებზე კი ფასების ზღვრული ნორმა დაწესდეს, რათა შიმშილისთვის განწირულ ხალხს პროდუქციის შეძენა კიდევ არ გაუჭირდეს და მარილი, შაქარი, ზეთი, ფქვილი თუ სხვა სურსათი კიდევ არ გაძვირდეს, – განაცხადა ნათელაშვილმა.

### „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ – უკვე მეშვიდე მერი...

**ქალაქის მერად ადგილობრივმა საკრებულომ ხმათა უმრავლესობით გუშინ ნუგზარ შამუგია დაამტკიცა.**

შამუგია წლების განმავლობაში ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი იყო, ამჟამად კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქალაქო ორგანიზაციის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე იყო, ამჟამად კი...

ინტერპრესნიუსი

### ბომბის ნაცვლად ხელში ტყემლის საწებელი შერჩათ!

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტი გუშინ დილით, დაახლოებით, 40 წუთის განმავლობაში დახურული იყო.**

აეროპორტის ე.წ. გასაფრენ დარბაზში ორი ლურჯი ფერის ჩანთა შენიშნეს, რომელთა მფლობელის პოვნა ვერ მოხერხდა.

აეროპორტის უშიშროების სამსახურმა იმის გასარკვევად, თუ რა იყო ჩანთებში მოთავსებული, გამნაღმველები გამოიძახა.

ამის გამო, საერთაშორისო აეროპორტი 40 წუთით დაიხურა, შეწყვეტილი იყო ფრენაც.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ აღმოჩენილი ჩანთები საფრთხეს არ წარმოადგენდა და მასში ტყემლის საწებელი იდო, აეროპორტმა მუშაობა ჩვეულ რეჟიმში განაახლა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რეისების გაუქმება ან გადადება არ მომხდარა.

### ჯარისკაცებმა ოფიცრები „ჩაუშვეს“



**ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით აფხაზეთში დისლოცირებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების მაღალჩინოსნები დააკავეს.**

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, დაკავებულები არიან სამშვიდობოთა სარდლის მოადგილე ჟარიკოვი, სამედიცინო სამსახურის უფროსი სერგეი სერდიუკოვი, 321-ე საგუშაგოს უფროსი რუსლან ცგოევი და ასეულის მეთაური ასლან ლოროკოვი. ეს ინფორმაცია ქართული მხარის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

რუსეთის სამხედრო პროკურატურამ ისინი ჯარიკაცების ჩვენებათა საფუძველზე დააკავა. ყველა მათგანს პრეპარატ „პრომიდოლით“ ვაჭრობა ედებათ ბრალად.

ამასთან, რუსი სამშვიდობოების დაკავების ფაქტს სოხუმი კატეგორიულად უარყოფს. აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აღნიშნულ ინფორმაციას „რუსთავი-2“-ის მორიგ ტყუილს უწოდებს.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

– სამწუხაროდ, ვერაფერს გავაწყობ თქვენს დაავადებასთან, იგი მემკვიდრეობითია, – ეუბნება ექიმი ავადმყოფს.
– მაშინ მკურნალობის საფასურიც მამაჩემს მოსთხოვეთ.

* * *



– ექიმო, რას მირჩევდით?
– ჭამეთ თევზი, მასში ბევრი ფოსფორია.
– მაგრამ მე ხომ გამოჯანმრთელება მინდა და არა ის, რომ ღამით ვანათებდე!

* * *

– მამი, რა არის ცხოვრების აზრი?
– ცხოვრებაში ყველაფერს აქვს აზრი, გარდა ცხოვრების აზრის ძიებისა.

* * *

პუტინმა მესამედ მოიგო კრემლის თასი.

* * *

გულუბრყვილობა – ეს არის ის, როდესაც რელსებზე მცოცავი ლოკოკინა მატარებლის მოახლოებისას თავის ნიჟარაში იმალება.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები
(კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87; 899 53-76-16)
შპს „თანადგომა -1“ (დავით აღმაშენებლის 150. 899 79-76-79)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.